

ტრაგედია პაკისტანში

A5



ჯერარდს მეტი უნდა

A6



თავი ისე იბრძენით, როგორც საკუთარ სახლში

A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2005 წელი. №158 (1018)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### წყალი ნავთობს არ დაუბინძურებია



"სოფელ ნინოწმინდის წყალმომარაგების სისტემის ორგანული ნივთიერებებით დაბინძურება არ უკავშირდება მასში ნავთობის ნახშირწყალბადების არსებობას," - აცხადებენ ნავთობკომპანიაში.

A2

## ამბები

### სახალხო დამცველს რელიგიური ექსტრემიზმის ზრდა აშფოთებს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ საქართველოში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები მატულობს, სამართალდამცავები კი ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

A2

## რევიუ

### ოპერისა და ბალეტის თეატრი რვა თვის ნამუშევარს აჯამებს



15 ივლისს სეზონის ბოლო სპექტაკლზე ("დაისი") თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს განსაკუთრებით ელოდება. ამ დღეს თეატრის ხელმძღვანელობა საუკეთესო სოლისტებს სიმბოლური პრიზებითაც დააჯილდოებს.

A7

## ამინდი

| | 14/07 | 15 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 35 |
| ტყიბული | 31 | 35 |
| სოხუმი | 32 | 33 |
| დმანისი | 28 | 31 |
| გორი | 28 | 32 |
| ონი | 23 | 27 |
| ზუგდიდი | 35 | 37 |
| ახმეტა | 32 | 33 |
| გაგრა | 30 | 32 |
| სამტრედია | 35 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ნომრის სტუმარი | A 4 |
| ამბები | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# ახალი მერის პირველი დღე

თამარ დვალი

თბილისის ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ დილით თავისი სამუშაო კაბინეტი დაცალა. ახლად დანიშნულ მერს თავისი წინამორბედისგან დიდი ნიჩაბი და კაბინეტის კედელზე ჩამოკიდებული კარგად ცნობილი საათი დახვდა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ თანამდებობაზე 14 თვის განმავლობაში მუშაობდა. მის სახელს უკავშირდება ისანი-სამგორის ყოფილი გამგებლის ზურაბ ადამიას სკანდალურად მოხსნა და სხვა არანაკლებ ხმაურიანი კამპანიები. უახლოეს დღეებში ჭიაბერაშვილი იმ 15 მიწის ნაკვეთის საკითხის განხილვასაც გეგმავდა, რომელიც 2000-2003 წლებში, მაშინდელმა პრემიერმა შერაძემ გაასხვისა. კულუარული ინფორმაციით, ყოფილ მერს ამ დღეებში კიდევ რამდენიმე სკანდალური განცხადება უნდა გაეკეთებინა, რომელიც რამდენიმე მაღალჩინოსნის კორუფციულ საქმიანობას უკავშირდებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



გიგი უგულავა: "ზურა ძალიან რთულ პერიოდში მოვიდა ქალაქის მერიაში და საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებიც ჩაატარა."

# ბობი კოლომბი: გამორთეთ MTV

### და თქვენს ტრადიციულ მუსიკას დაუბრუნდით

მაია ჭალაგანიძე

*ბიზნესთან დაკავშირებული უძველესი აქსიომის მიხედვით, ყოველი წინააღმდეგობა უნდა შეაფასო, როგორც ახალი გამოწვევა და ყოველი გარემოება ყველა შესაძლო კუთხით უნდა განიხილო. წარმოშობით ნიუ-იორკელმა ბობი კოლომბმა საკუთარი კარიერა "დრამერად" დაიწყო და ჯგუფის "Blood, Sweat and Tears" თანადამფუძნებელმა კარგად გაიაზრა ეს აქსიომა. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ისეთი გამოჩენილი მუსიკოსების ალბომების გამოშვებაში, როგორებიც არიან ჯექსონები, ჰარი ქონიქი, ჯუნიორ ჯაქო პასთორიუსი და ქენი ლოგინსი. გავლენიან ხმის ჩამწერ კომპანიებში იგი ხშირად მუშაობდა წამყვან თანამდებობებზე და მუსიკის ბიზნესში დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ამ ცოტა ხნის წინ ბობი ქრის ბოთის (საყვირი) დისკების When I Fall In Love და December-ის პროდიუსერად მოგვევლინა. ამჟამად კი პოლა კოლის დისკის (CD) გამოშვებაზე მუშაობს. ბობი*



*აგრეთვე არის "Warner Brothers Pictures"-ის მუსიკალური განყოფილების უფროსი კონსულტანტი. იგი აგრეთვე იყო Sony's 550 Digital Media Ventures-ის წამყვანი კონსულტანტი. Sony Broadband Entertainment-ის მიზანი ციფრული ტექნოლოგიების კომპანიების შექმნა, მართვა, მათში ინვესტირება და შეძენაა. 550 DMV ოფისი აქვს ნიუ იორკში, სან ფრანცისკოში, ლოს ანჯელესსა და ლონდონში. თბილისში მისი ჩამოსვლის მიზანი კი უფრო საავტორო უფლებების დაცვას ეხება, თუმცა ამ ინტერვიუში ბობი ამერიკული გულღიაობით გვიზიარებს საკუთარ შეხედულებებს ჩვენს ქვეყანაზე, ახალ მუსიკოსებსა და ქართულ ფოლკლორზე, რომელმაც მასზე ამ ჩამონათვალში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# რისი ეშინიათ სამხედრო ჩინოვნიკებს?

ვერიკო თევზაძე
პაატა ცნობილაძე

**"შეიარაღებულ ძალებზე ეფექტური დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის დაწესება თავდაცვის რეფორმის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია,"** - ვკითხულობთ ეროვნული უსაფრთხოების ახლად მიღებულ კონცეფციაში. ეფექტური სამოქალაქო კონტროლი კი, თავის მხრივ, აუცილებლად გულისხმობს საზოგადოების მიერ თავდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის შეუფერხებლად და დროულად მიღებას. საუბარია ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე, რომელიც საიდუმლოების გრიფით არ არის დაცული. ეს კი ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო კონტროლის ინსტიტუტისათვის ნამდვილად "აქილევსის ქუსლია", რადგან თავდაცვის სამინისტრო ხშირად სწორედ ამ მოტივით ცდილობს, შეზღუდოს ინფორმაციის გაცემა.

რა შეიძლება იცოდეს საქართველოს მოქალაქემ თავისი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ?

როგორც ექსპერტები ამბობენ, ჩვენი კანონმდებლობით, ნებისმიერი ინფორმაცია, რაც სამხედრო სფეროში მიმდინარე პროცესებს შეეხება, ღიაა, მათ შორის ის, თუ რა შეიარაღებას ფლობს ქართული ჯარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესყიდვის პროცესი ჯერ დამთავრებული არ არის. მით უმეტეს, საჯაროა ის, თუ რა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა აქვს საქართველოს არმიას, რა თანხები იხარჯება თითოეულ ნაწილზე და ა.შ. **"მე არ ვიტყვი, რომ კანონმდებლობის მხრივ კატასტროფაა. კატასტროფაა სახელმწიფო მოხელეთა ქმედება ამ კუთხით,"** -

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ის ვერ გახდა ხელისუფლების კაცი"

### ოპოზიცია საკადრო ცვლილებების შესახებ

*გუშინ, მთელი დღის მანძილზე, მედიისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მერიაში მიმდინარე ცვლილებები იყო. თუმცა, არც საკრებულოს წევრები და არც მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ამ გადაადგილებების რეალური მიზეზების შესახებ არაფერს ამბობდნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

სამაგიეროდ, ამ მიზეზებზე გუშინ ოპოზიციონერები საუბრობდნენ. ზურაბ ჭიაბერაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება ყველას აფიქრებინებს, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ პრეზიდენტის ეს ნაბიჯი დანიშვნითი ან არაპირდაპირი წესით არჩეული მერის ინსტიტუტის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამავე დროს, იგივე ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ მიუხედავად ჭიაბერაშვილის საკმაოდ დაბალი რეიტინგისა, მან მაინც შეძლო დედაქალაქის მერიაში კორუფციის დონის შემცირება, რამაც იგივე მმართველი პარტიის ელიტის ნაწილის საკმაო გაღიზიანება გამოიწვია.

**"ჭიაბერაშვილი ყველაზე კარგი მერი იყო აქამდე არსებულ მერებს შორის და იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ მის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, საბოლოო ჯამში, მის საქმიანობას დადებითად ვაფასებ. მე არ გამკვირვებია ჭიაბერაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება, რადგან ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ გავრცელდა. ასეთი ხმები კი ტყუილად არ ვრცელდება. ისიც აღსანიშნავია, რომ არც ერთ ჩინოსანზე არ ულაპარაკიათ იმდენი, რამდენიც ჭიაბერაშვილზე. პრეზიდენტის მიერ ჭიაბერაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებას კონკრეტული მიზეზი აქვს. მიმაჩნია, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილი, საბოლოო ჯამში, ვერ გახდა მათი კაცი. მერის გადადგომის თაობაზე სხვა მოსაზრებებიც მაქვს, მაგრამ, ჯერჯერობით, დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ,"** -

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნატო-სკენ აღებული კურსის სიზუსტეს პარლამენტში ამოწმებენ

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარები ყურადღებით ადევნებენ თვალს, თუ როგორ მიმდინარეობს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) შესრულება. სამი კომიტეტის (საგარეო საკითხთა, ევროპასთან ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების) გუშინდელ გაერთიანებულ სხდომაზე მიწვეულმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დეპუტატების "ცნობისმოყვარეობა" მთლიანად დააკმაყოფილეს. **"ასეთი კარგი საკითხისთვის შეკრება ცხელ ზაფხულში ნამდვილად ღირდა,"** - IPAP-ის ფასი კარგად იცის საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა.

თუ როგორ ასრულებს საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დეპუტატებზე მეტად ნატო-ს ხელმძღვანელობას აინტერესებს: სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვა ნატო-ს შემფასებელთა მისია, რომელიც IPAP-ის შესრულების მდგომარეობას შეისწავლის.

საინტერესოა, რომ შემფასებელთა მისია თბილისში 2006 წლის მარტში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ დამატებითი, შუალედური შემოწმება თავად საქართველოს მთავრობამ ითხოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მზადება განჯის ბიზნესფორუმისთვის

### საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებულ დავაზე პარიზში იმსჯელებენ

*18-19 ივლისს ქალაქ განჯაში საქართველო-აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ იმსჯელებენ. ორ ქვეყანას შორის საჰაერო ნავიგაციის სამსახურებს შორის არსებულ დავაზე კი მოლაპარაკებები ოდნავ მოგვიანებით, ნოემბერში, პარიზში გაიმართება.*

მარიამ ჯაჭვაძე

საქართველოს მხრიდან დელეგაციას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს. სწორედ ამ ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას ისახავდა მიზნად, თბილისში აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერის აბას აბასოვის ორდღიანი სამუშაო ვიზიტი. იგი გუშინ ზურაბ ნოღაიდელს სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა.

როგორც პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში განაცხადეს, მხარეებმა განიხილეს 18-19 ივლისს აზერბაიჯანში დაგეგმილი სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური ფორუმის დეტალები.

ტრანსპორტი, ენერგეტიკა და ტვირთბრუნვის სფეროებში თანამშრომლობა - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელზეც აზერბაიჯანში დაახლოებით ერთ კვირაში დეტალურად იმსჯელებენ. ამის შესახებ განცხადება კი თავად აბას აბასოვმა, ნოღაიდელთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

მისივე განმარტებით, ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომა ქალაქ განჯაში 18 ივლისს გაიმართება, ხოლო 19 ივლისს დაგეგმილია საქართველო-აზრებაიჯანის ბიზნესფორუმი, რომელშიც მონაწილეობას ქართული და აზერბაიჯანული საქმიანი წრეების წარმომადგენლები მიიღებენ. სხვათა შორის, ამ ბიზნესფორუმზე ქართველი ბიზნესმენების მიერ წარმოდგენილი იქნება ქართული პროდუქციის რამდენიმე ნიმუში.

აბასოვის თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს და პრემიერ-მინისტრს, არტურ რასიზადესაც შეხვდება.

აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერმა აბას აბასოვმა საქართველო გუშინ საღამოს დატოვა.

რაც შეეხება საქართველო-აზერბაიჯანის საჰაერო ნავიგაციის სამსახურებს შორის არსებულ დავას, როგორც გუშინ გახდა ცნობილი, მასზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მიმდინარე წლის ნოემბერში საფრანგეთის დედაქალაქში დაიწყება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აეროპორტის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი არ ჩაიშლება

## ვარციხეჰესი კი ისევ სახელმწიფო საკუთრებაშია

თამარ ივანიძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქცია-მშენებლობაზე სახელმწიფოსა და საერთაშორისო კონსორციუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ჩაშლას გამორიცხავს.

როგორც მინისტრმა ოთხშაბათს გამართული, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, კონსორციუმი ვალდებულია, სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებები შეასრულოს.

კონსორციუმი კომპანიებს - "ეი & ჯეი" (აშშ), "ჯი თი ეს" (ლუქსემბურგი), "ჩელები" (თურქეთი) აერთიანებდა, თუმცა კომპანია "ჯი თი ესი" კონსორციუმიდან ივლისის დასაწყისში გამოვიდა.

კონტრაქტის მიხედვით, კონსორციუმმა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 12 თვეში უნდა შეასრულოს, რის შემდეგაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა უნდა დააკმაყოფილოს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ICAO-ს სტანდარტები, მიიღოს "ბოინგ-747" და "აერობუს-330/340" ტიპის საჰაერო ხომალდები და საათში, არანაკლებ, 2 ათას მგზავრს მოემსახუროს.

კონსორციუმს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 10 წლის ვადით მართვის უფლებით გადაეცემა. კონსორციუმი მშენებლობა-რეკონსტრუქციისათვის გაღებულ 62 მლნ აშშ დოლარს ამ პერიოდში აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის და შიდა მომსახურების, აეროპორტის შიდა ტერიტორიის გაქირავების, ასევე Duty free-დან მიღებული შემოსავლებიდან ამოიღებს. კონსორციუმი ამ შემოსავლების 10 პროცენტს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხავს.

სახელმწიფომ აეროპორტის მშენებლობაზე ტენდერი იანვარში გამოაცხადა და მასში მონაწილეობას რამდენიმე უცხოური და ქართული კომპანია იღებდა.

ლექსო ალექსიშვილის მოსაზრებას ნაწილობრივ ადასტურებს ეკონომიკის ამჟამინდელი მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძეც, რომლის თქმითაც, მას არა აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ჩელებმა" უარი განაცხადა თბილისში ახალი აეროპორტის მშენებლობაზე, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებასთან გაფორმებული კონტრაქტის გაუქმებაზე.

რაც შეეხება პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომელიც შპს "ვარციხე 2005"-ის საკუთრებაში არსებული 95-პროცენტიანი წილის შპს "ვოთნეისისთვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემას ითვალისწინებდა, მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ეს ბრძანებულება გაუქმდა.

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები განმარტავენ, იმის გამო, რომ თავის დროზე "ვარციხე 2005"-სა და "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზებაში მონაწილე რუსულმა კომპანიამ "ევრაზჰოლდინგმა" აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, პრეზიდენტის ეს ბრძანებულება გაეუქმებინა.

# წყალი ნავთობს არ დაუბინძურებია

ხათუნა გიგაური

"კანარგო-ჯორჯიას" ოფისში გუშინ გამართულ შეხვედრაზე საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, სადაც "კანარგო" ნავთობს მოიპოვებს, სასმელი წყლის მომარაგების სისტემაზე და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ჰიგიენურ მდგომარეობაზე საუბრობდნენ. **"ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სერტიფიცირებული ლაბორატორიის "გამას" მიერ ჩატარებულმა დამატებითმა კვლევებმა, რომელიც წყლის სისტემის სათავიდან შემკრებამდე განხორციელდა, აჩვენა, რომ სოფელ ნინოწმინდის წყალმომარაგების სისტემის ორგანული ნივთიერებებით დაბინძურება არ უკავშირდება მასში ნავთობის ნახშირწყალბადების არსებობას,"** - აცხადებენ ნავთობკომპანიაში.



"სოფელ ნინოწმინდის წყალმომარაგების სისტემის ორგანული ნივთიერებებით დაბინძურება არ უკავშირდება მასში ნავთობის ნახშირწყალბადების არსებობას," - აცხადებენ ნავთობკომპანიაში.

2004 წლის 10-14 სექტემბერს №100 ჭაბურღილზე მომხდარი ავარიის შედეგად დაბინძურდა 41 ჰექტარი ტყიანი ფართობი. ნინოწმინდის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მათ სოფელში სასმელი წყლის დაბინძურებას სწორედ გასულ წელს მომხდარ ავარიას უკავშირებდა.

ამა წლის გაზაფხულზე წყალდიდობამ მნიშვნელოვნად დააზარალა საგარეჯოს რაიონის სოფლების - ნინოწმინდისა და წყაროსთავის წყალმომარაგების სისტემებიც, რის გამოც მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა სასმელი წყლით მომარაგების კუთხით. ჰიგიენური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების დასკვნაში ვკითხულობთ, რომ **"ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემაში წყლის ხარისხის გაუარესება, სათავის წყლის ხარისხთან შედარებით, გამოწვეულია არა ნახშირწყალბადების არსებობით, არამედ წყალსადენის ქსელის არაკეთილსაიმედო სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობით."**

"კანარგო-ჯორჯიაში" აცხადებენ, რომ № 100 ჭაბურღილის ამოფრქვევისას არ მომხდარა სასოფლო-სამეურნეო ნიადაგის დეგრადაცია. აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ნავთობპროდუქტების კონცენტრაცია ნიადაგში დასაშვებ დონეზე 3,5-ჯერ ნაკლებია.

**"წყლის ანალიზებმა, რომელიც დაგეგმილი მონიტორინგისგან დამოუკიდებლად ჩატარდა ჰიგიენის ინსტიტუტისა და დამოუკიდებელი სერტიფიცირებული ლაბორატორიების მიერ, აჩვენა, რომ იგი ნავთობით დაბინძურებული არ არის. შესაბამისად, ამ კუთხით, პანიკის არავითარი საფუძველი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებული კომისიის დავალების შესაბამისად, ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ მუდმივ მონიტორინგს, რათა მომავალში გამოირიცხოს რაიმე პრობლემა,"** - აღნიშნა "კანარგო-ჯორჯიას" მენეჯერმა გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სოსო ცაბაძემ.

**"სექტემბერში მომხდარი ავარიის ლიკვიდაცია სამ დღეში მოხერხდა. ნავთობკომპანიის მიერ კი 1700 ოჯახს გაეწია დახმარება. კომპანიის კეთილი ნებით, მოსახლეობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, შესაძლებელია, წყალსადენის სათავო ნაგებობის შეკეთების საკითხიც განვიხილოთ,"** - განაცხადა სოფელ ნონიწმინდის წყალსადენის სათავო ნაგებობასთან "კანარგო-ჯორჯიას" წარმომადგენელმა გია მახარაძემ.

# სახალხო დამცველს რელიგიური ექსტრემიზმის ზრდა აშფოთებს

სოფო მერაბიშვილი

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ საქართველოში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები მატულობს, სამართალდამცავები კი ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

7 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ალბერტ აბრამიანმა. მან განაცხადა, რომ საკუთარი სახლის ერთი სართული "იეჰოვას მოწმეების" რელიგიურ გაერთიანებას მიაქირავა. ამით აღშფოთებულმა მეზობელმა აბრამიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ განცხადებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა გლდანი-ნაძალადევის შს განყოფილების უფროსს ბადრი ღვინჯილიას. სამმართველოომ სახალხო დამცველის ოფისს შემდეგი პასუხი გაუგზავნა: "აღნიშნულ ფაქტზე ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რის შედეგადაც, ხსენებულ განცხადებაში მოყვანილ პირთა გამოკითხვით და შემდგომში ფაქტობრივ გარემოებათა შეჯამებით დადგენილ იქნა, რომ ალბერტ აბრამიანის მიმართ, მისი კუთვნილი საცხოვრებელი ბინის დამქირავებლების - ორგანიზაცია "იეჰოვას მოწმეები"-ს მხრიდან რაიმე სახის ფიზიკურ ან მორალურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია". ამ პასუხს სახალხო დამცველი აბსურდულს და შეუსაბამოს უწოდებს.

როგორც სოზარ სუბარმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების შემდეგ, საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმისა და ძალადობის გამოვლინებებმა ერთბაშად იკლო. მიუხედავად ამ დამთბარი ურთიერთობებისა, ბოლო სამი თვის მანძილზე, რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის შემთხვევების რიცხვი გაიზარდა. სახალხო დამცველის სახელზე 12 განცხადებაა დაწერილი. ეს ციფრი სამჯერ აღემატება მანამდე წელიწადნახევრის განმავლობაში შეტანილი განცხადებების რიცხვს.

**"განსაკუთრებით შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო ქუთაისში, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, იეჰოვას მოწმეებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა. მე მოვუწოდებ შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს პროკურორს, უშუალოდ გააკონტროლონ ქუთაისში მომხდარი მოვლენები და სხვა ფაქტები,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

კითხვაზე, რამდენად მართებულად მიაჩნია რელიგიური რიტუალების საცხოვრებელ კორპუსებში ჩატარება, სოზარ სუბარმა აღნიშნა: **"ეს არის აბსოლუტურად სტანდარტული ნორმა ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოებისათვის. სტუმრები რომ მოდიან, მეზობლებს აწუხებთ, თუმცა სტუმრიანობას არ გიკრძალავენ. თუ რელიგიური რიტუალი დახურულ ოთახში მიმდინარეობს, იგი არავის უშლის ხელს."**

# ეროვნული ბანკი არალიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გამოვლენას იწყებს

*საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსური პოლიცია საქართველოში მოქმედი ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების გამოვლენას ერთობლივად განახორციელებენ. ეროვნული ბანკი აღმოჩენილ დარღვევებზე ინფორმაციას ფინანსურ პოლიციას გადასცემს. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დასჯად საქმიანობას განეკუთვნება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.*

სავალუტო ბაზარზე ერთგვარი გაურკვევლობა შექმნა კანონპროექტმა "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ". აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში განხილვის დროს მოსაზრებაც კი გამოითქვა, რამდენად აუცილებელი იყო უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ლიცენზირება. თუმცა, ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს განმარტებით, "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ფუნქციას სწორედ კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა წარმოადგენს, მათი ლიცენზირების, რეგულირებისა და შემოწმების მეშვეობით. აღნიშნული შესაბამისობაშია საბანკო საქმიანობის შესახებ ევროდირექტივასთან, მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და "საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის" მიერ დადგენილ "ზედამხედველობის ძირითად პრინციპებთან. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, "ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ზემოაღნიშნულ კანონზე - "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" - მაღლა დგას.

ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის სპეციფიკურობა განპირობებულია იმით, რომ ისინი რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებთან აწარმოებენ ნაღდი ვალუტის გაცვლით ოპერაციებს, რაც სხვადასხვა ქვეყნის ვალუტასთან მუშაობის შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ამასთანავე, აღნიშნული სეგმენტის ფუნქციონირება კანონის ფარგლებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მდგრადობაზედაც ახდენს გავლენას.

*24 საათი*

# "საქართველოს თამბაქოს წარმოება" აგვისტოდან ამუშავდება

"საქართველოს თამბაქოს წარმოება", შვიდთვიანი პაუზის შემდეგ, აგვისტოში ამუშავდება. როგორც პრაიმ-ნიუსს საწარმოს დამფუძნებელმა ავთანდილ წერეთელმა აცნობა, ქარხანა 2005 წლის იანვრიდან ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების პარალელურად გაჩერდა, რადგან წელს ამოქმედებული საგადასახადო კოდექსით გაზრდილი აქციზის გამო, საწარმო არარენტაბელური გახდა. მისი ინფორმაციით, იანვრიდან საწარმომ გაყიდა ნაშთი პროდუქცია, 32 000 ყუთი სიგარეტი. ამ დროისთვის, სარეალიზაციოდ დარჩენილია 8 000 ყუთი. წერეთელი აღნიშნავს, რომ ერთთვიანი მუშაობის პერიოდში საწარმო ბიუჯეტში 2 მილიონ ლარს გადაიხდის.

*პრაიმ-ნიუსი*

## მოკლედ

### ზურაბიშვილისთვის უცნობია, ვინ დაიკავებს კახა სიხარულიძის ადგილს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ზურაბ ჭიაბერაშვილის - ევროსაბჭოში საქართველოს ელჩად, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის კახა სიხარულიძის ჩეხეთში საქართველოს ელჩად დანიშვნას პარლამენტმა პრობლემები არ უნდა შეუქმნას.

ზურაბიშვილის განმარტებით, თბილისის ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილისა და კახა სიხარულიძის ელჩებად მივლინების გადაწყვეტილება მთავრობამ და პრეზიდენტმა ერთობლივად მიიღეს.

ზურაბიშვილისთვის ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს კახა სიხარულიძის ადგილს საგარეო საქმეთა სამინისტროში. **ინტერპრესნიუსი**

### "ნაციონალურ მოძრაობას" დავით კირკიტაძე უხელმძღვანელებს

"ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე დაინიშნა.

ეს თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი არველაძე გამოცხადდა.

საბოლოოდ, გენერალურ მდივნად კირკიტაძე "ნაციონალური მოძრაობის" ყრილობამ უნდა დაამტკიცოს. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობა" შუალედური მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნებისათვის ისანი-სამგორის რაიონში, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბიძინა ბრეგაძის კანდიდატურას წარადგენს. ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ დილით რუსთავიდან საჩხერის ბატალიონში 60 რეზერვისტი გაემგზავრა. რეზერვისტები საჩხერეში სამი კვირის განმავლობაში დარჩებიან და საბრძოლო გადამზადებას ადგილზე გაივლიან. რეზერვისტთა ბატალიონში, რუსთავისა და ქვემო ქართლის სხვადასხვა სამსახურების უფროსებთან ერთად, რიგითი მოქალაქეებიც არიან. ბატალიონის მეთაური ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახა ბარათაშვილია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს კონსერვატიული პარტია" დედაქალაქის მერად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიგი უგულავას დანიშვნას ცინიზმს უწოდებს. როგორც "ინტერპრესნიუსს" "კონსერვატიულ პარტიაში" განუცხადეს, ამგვარი საქციელით პრეზიდენტი სააკაშვილი თბილისელებს ეუბნება, რომ დედაქალაქს საკუთარი ადმინისტრაციის ერთ-ერთ სამსახურად თვლის. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრადიციონალისტები" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეტანილ განაცხადზე პასუხს 15 ივლისისთვის ელოდებიან. "ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განაცხადზე უარის თქმის არავითარი საფუძველი არ აქვს. თუმცა, ამ ხელისუფლებისგან ყველაფერი მოსალოდნელია. თუ რეფერენდუმის ჩატარებაზე უარს მივიღებთ, აუცილებლად მივმართავთ სასამართლოს," - განაცხადა "ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერმა აკაკი ასათიანმა. "ტრადიციონალისტთა" თქმით, სახალხო გამოკითხვა ერთ შეკითხვას მოიცავს: "ხართ თუ არა თანახმა, ყველა დასახლებული პუნქტის პირველი პირი (მერი, გამგებელი) აირჩეს პირდაპირი არჩევნებით?" რეფერენდუმამდე მისმა ინიციატორებმა 200 000 მოქალაქის ხელმოწერა უნდა შეაგროვონ. "ტრადიციონალისტები" საჭიროდ მიიჩნევენ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ რეფერენდუმზე მონიტორინგის განხორციელებას. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გალის რაიონში მძიმე კრიმინოგენული ვითარებაა: რეგულარულად ხდება დაყაჩაღება და ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცება," - ნათქვამია კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებაში, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებისადმი. ქართული მხარე დაჟინებით მოითხოვს გალის რაიონში გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნას და გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის ამოქმედებას. ამის საპასუხოდ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში აცხადებს, რომ აღნიშნული ოფისის გახსნა საჭირო არ არის. **მედიანიუსი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ყველაზე დაბალი ტარიფები საერთაშორისო საუბრებზე
მოსკოვი (ფიქსირებულ ტელეფონებზე) 22თ.
რუსეთი
ამერიკა 25თ.
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონებზე)
დროის წამობრივი აღრიცხვა
ტარიფები ვრცელდება საქართველოს მასშტაბით
8-10
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნატო-სკენ აღებული კურსის სიზუსტეს პარლამენტში ამოწმებენ



"ასეთი კარგი საკითხისთვის შეკრება ცხელ ზაფხულში ნამდვილად ღირდა," - IPAP-ის ფასი კარგად იცის საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა.

პირველი გვერდიდან

სექტემბრის "გამოცდამდე" კი სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები პარლამენტში აბარებენ "ტესტებს". საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები გუშინ დეპუტატების წინაშე "თავს იმით იწონებდნენ", რომ კონცეპტუალური დოკუმენტები უკვე მზად აქვთ.

**"საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხეების შეფასების დოკუმენტი შემუშავებულია, სამხედრო სტრატეგიაზე მუშაობა კი დასრულების სტადიაშია,"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვასილ (დავით) სიხარულიძე. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს, კოტე გაბაშვილის თქმით, **"ერთი ფეხი ბრიუსელში აქვს, მეორე კი - თბილისში."** პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტისგან ითხოვს თანხმობას, რომ ვასილ სიხარულიძე ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლად დაინიშნოს.

**"IPAP-ის შესრულება, ჯერჯერობით, კარგად მიმდინარეობს, მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. თუ შეფერხება იქნება, მაშინვე განგაში უნდა ავტეხოთ,"** - აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს სიფხიზლისკენ მოუწოდებს კოტე გაბაშვილი.

**"გარკვეული პრობლემების მიუხედავად, IPAP-ის შესრულების პროცესი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს,"** - დაახლოებით იგივე პოზიცია აქვს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს.

**"თავის საზედამხედველო ფუნქციას პარლამენტი მომავალშიც შეასრულებს და ანალოგიური მოსმენებს კვლავაც ჩაატარებს,"** - დასძენს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა.

# მზადება განჯის ბიზნესფორუმისთვის

პირველი გვერდიდან

ამის შესახებ განცხადება სახელმწიფო კანცელარიაში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ევროპისა და ჩრდილო ატლანტიკის რეგიონული ოფისის დირექტორმა კარსტენ ტაილმა გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, ეს საკითხი პარიზში გამართულ ICAO-ს ევროპის რეგიონულ ოფისში საჰაერო მარშრუტების დაგეგმვის სხდომაზე, ნოემბერში გადაწყდება.

საუბარია 110-კილომეტრიან საჰაერო კორიდორზე, რომელიც აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეშია განთავსებული და 2001 წლიდან საქართველოს დისპეტჩერების მიერ კონტროლდებოდა. როგორც "საქაერონავიგაციის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, მიმდინარე წლის 17 მარტიდან ამ ტრასას აზერბაიჯანის დისპეტჩერები აკონტროლებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა არ გააჩნიათ. სადავო 110-კილომეტრიანი საჰაერო ტრასის მომსახურებიდან საქართველო წელიწადში 1 მილიონ 500 ათას აშშ დოლარ შემოსავალს იღებდა.

"საქაერონავიგაციის" წარმომადგენლების თქმით, საქართველო-აზერბაიჯანის საჰერო მართვის სამსახურებს შორის, აღნიშნული ტრასის მართვის მიზნით, დადებული ხელშეკრულება დაირღვა და კონტროლი საკუთარ თავზე აზერბაიჯანმა ყოველგვარი იურიდიული ნორმების დარღვევით აიღო.

საქაერონავიგაციაში განმარტავენ, რომ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, ტრასის აღნიშნული მონაკვეთის კონტროლი აზერბაიჯანის პრეროგატივაა, რადგან ის მის ტერიტორიაზეა, თუმცა დარღვეულია ავიატრასის დამტკიცების პროცედურა. პროცედურული დარღვევების გარდა, 110-კილომეტრიანი მონაკვეთის აზერბაიჯანზე გადაცემა გაუმართლებელია უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისითაც. საქაერონავიგაციას 110-კილომეტრიანი მონაკვეთი იმ საფუძვლით გადაეცა, რომ აზერბაიჯანში არსებული მოქმედი რადარები აღნიშნულ მონაკვეთს ვერ აფიქსირებს და, შესაბამისად, ვერც თვითმფრინავების მართვას უზრუნველყოფს, რაც მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული.

# მთავრობა კოოპერატივების ვალს გადაიხდის

## ოღონდ, ჯერ არა

*უკვე რამდენიმე თვეა, საქართველო მთავრობამ საბინაო-კოოპერატიული ბინათმშენებლობების წევრთა ვალის გასასტუმრებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებები შეაჩერა. ამისი მიზეზი სახელმწიფოს მევალეთა და მათ მიმართ არსებული დავალიანების ხელახალი ინვენტარიზაცია გახლავთ. მართალია, მევალეთა რეგისტრაცია პირველ ივლისს დასრულდა, მაგრამ მთავრობას ვალის ოდენობა და მისი დაფარვის მექანიზმი და ფორმა ჯერ არ დაუდგენია. პარლამენტი კი მთავრობას ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას სთხოვს.*

ნანა ქადაგიშვილი

1990 წელს დაწყებული კოოპერატიული ბინების მშენებლობა 1992 წელს, ქვეყანაში არსებული არეულობის გამო შეჩერდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კოოპერატივებს სთხოვა, მშენებლობების ხარჯები ბიუჯეტში სრულად ჩაერიცხათ. სამაგიეროდ, ხელისუფლება ყველა დაწყებული მშენებლობის 1995 წლამდე დამთავრებას საკუთარ თავზე იღებდა. მთავრობამ პირობა ვერ შეასრულა და კოოპერატივების წევრთა მიერ გადახდილი თანხები შიდა ვალად აღიარა. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ასოციაციის მონაცემების მიხედვით, 1999 წელს, საქართველოს მასშტაბით, კოოპერატივების წევრთა რაოდენობა 7 100 ოჯახს აღწევდა, მათ მიმართ სახელმწიფოს დავალიანება კი - 157 253 100 ლარს. თუმცა, წელს ხელისუფლებამ მევალეთა და ვალის ოდენობის ხელახალი ინვენტარიზაცია მოითხოვა, რადგან, როგორც ფინანსთა სამინისტროში განგვიმარტეს, წინა წლებში თანხები ხშირად არასწორად ნაწილდებოდა და კოოპერატივების ზოგიერთმა წევრმა კუთვნილზე ბევრად მეტი აიღო.

მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის დადგენილების თანახმად, ფინანსთა სამინისტრომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა ვალის ინვენტარიზაციის პროცესი პირველ ივლისს დაასრულა, თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა რაოდენობის დადგენა მოხერხდა. მათი რაოდენობა 8 050-ს შეადგენს, ანუ, ძველ მონაცემებთან შედარებით, 950-ით მეტს. მათ მიმართ დავალიანების ოდენობა კი ფინანსთა სამინისტროს ჯერ კიდევ არ დაუდგენია. როგორც სამინისტროში განგვიცხადეს, ვალის გამოთვლის მექანიზმი არ არსებობს. **"ამ მექანიზმსა და შემდგომ, ვალის დაფარვის ფორმას სამთავრობო კომისია დაადგენს და პარლამენტს წარუდგენს,"** - განმარტავენ სამინისტროში. თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, პარლამენტი მთავრობისგან ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვლისწინებული ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას მოითხოვს. **"ეს საკითხი კომიტეტში ახლახან განვიხილეთ და მთავრობას მივწერეთ წერილი, სადაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა მიმართ ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება მოვთხოვეთ,"** - განგვიცხადა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა. პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა კი მთავრობა ბიუჯეტის შესახებ კანონის დარღვევაში დაადანაშაულა. **"საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის დადგენილება არ შეიძლება გამხდარიყო სახელმწიფო ვალის დაფარვის შეჩერების საფუძველი, რადგან ნორმატიული აქტების იერარქიის თანახმად, საქართველოს ბიუჯეტის შესახებ კანონი მთავრობის დადგენილებას აღემატება,"** - წერია კომიტეტის დასკვნაში.

# დღე მესამე

## ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

დღეს უნარ-ჩვევების ორდღიანი გამოცდა დაიწყება. 14 საგამოცდო ცენტრში ოთხი სესია ჩატარდება - 14-15 ივლისს დილით და საღამოს. გუშინდელი დღე აბიტურიენტებისთვის დასვენების და შემდეგი ბარიერის გადასალახად მომზადების დღე იყო.

ერთიანი ეროვნული გამოცდების პრესცენტრსა და ტესტების გასწორების ცენტრში კი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. დილით გამსწორებლები შეუდგნენ მუშაობას. განთავსდნენ ოთახებში, მიიღეს ნამუშევრები და გასწორება დაიწყეს. **"დღეს 14 ნამუშევარი გავასწორეთ, თოთხმეტჯერ 20 გვერდი. ხვალ, როგორც გვითხრეს, 34 ნამუშევარს მოგვცემენ. საკმაოდ შრომატევადია და თუ გავითვალისწინებთ, რომ პასუხისმგებლობა პირველ და მეთოთხმეტე ნამუშევარზეც ერთი და იგივეა, ვფიქრობ, დღიური ნორმის მომატება ნელ-ნელა უნდა მოხდეს. ნამუშევრებს არა უშავს, საშუალო დონისაა. ტესტები უმრავლესობას შევსებული აქვს, რაც შეეხება თემას - ჯერჯერობით, აბიტურიენტების საგრძნობ ნაწილს, დაწერილი არა აქვს. ეს ქულების რაოდენობას საგრძნობლად დაწევს - თემა 20 ქულით ფასდება. რაც შეეხება ტესტებს, ლიტერატურაშიც და ენაშიც, სხვადასხვა შეფასება აქვს - ერთი, ორი, ხუთიც,"** - გვითხრა ერთ-ერთმა გამსწორებელმა.

მედია-ცენტრში განათლების და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ბრიფინგი ჩაატარა. მინისტრმა "სთხოვა" აბიტურიენტებს, რომ კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხონ სარეგისტრაციო ბარათში მითითებული ინფორმაცია, სად და როდის გამოცხადდნენ გამოცდაზე, არ აურიონ მისამართი და არ დააგვიანონ. მინისტრმა განაცხადა, რომ აბიტურიენტებს ატესტატის წარდგენა რეგისტრაციაზე არ სჭირდებათ, უსურვა მათ წარმატება და მოუწოდა ისეთივე მაღალი თვითკონტროლისაკენ, როგორიც მათ გასულ გამოცდაზე გამოიჩინეს.

რაც შეეხება საზოგადოებას, მშობლებს, აქ მუდმივი დინამიკაა. ერთიანი ეროვნული გამოცდები ნებისმიერი თავშეყრის პოლემიკის თემაა, რომელიც ქალაქის მერის მოხსნა-დანიშვნამაც ვერ დაჩრდილა. საზოგადოება მსჯელობს გამოცდების დადებით და უარყოფით მხარეებზე, მსჯელობენ, როგორ შეიძლება მაინც მოხდეს "ჩაწყობა" და ნებაყოფლობით ეწევიან "თვითლუსტრაციას" - იხსენებენ საკუთარ აბიტურიენტულ ბიოგრაფიას, ვის როგორ ჰქონდა ჩაწყობილი, ან არ ჰქონდა.

ვიდრე აბიტურიენტები საგამოცდო მარათონს დაასრულებენ, მათ გულშემატკივრებს, რეფორმის მომხრე-მოწინააღმდეგეებს, გაზეთის რედაქცია საშუალებას აძლევს: მოგვწერეთ განათლების სისტემაში კორუფციის პირადი მაგალითები (შესაძლებელია, ანონიმურადაც!), და თუ უკვე მოფიქრებული გაქვთ ის ვარიანტიც, რა გზით შეიძლება ერთიანი ეროვნული გამოცდების "ჩაწყობა".

აბიტურიენტებს ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტები და სწორი პასუხები შეუძლიათ ნახონ ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის საიტზე - naec.ge

*24 საათი*

# რისი ეშინიათ სამხედრო ჩინოვნიკებს?

პირველი გვერდიდან

ამბობს ირაკლი სესიაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციიდან "სამართალი და თავისუფლება."

მისი თქმით, სახელმწიფო მოხელეები ცდილობენ, ინფორმაციის გაცემა შეზღუდონ, რათა ვინმემ იმ ინფორმაციაში ისეთი რამ არ იპოვოს, რომ მერე მისი კრიტიკის საფუძველი გახდეს. **"ეს არის მათი შიშის მიზეზი,"** - მიიჩნევს იგი. ეს შიში კი უსაფუძვლოა, რადგან მცირე ინფორმაცია და ბევრი უპასუხო კითხვა კრიტიკის საფუძველს უფრო მეტად იძლევა. **"მე მგონი, მათ არ ესმით, რომ გადაჭარბებული კონსპირაცია უადგილოა და მართლაც ზედმეტია,"** - აცხადებს ჩვენთან საუბარში რეზერვის პოლკოვნიკი ალექსი ბარბაქაძე.

აძლევს თუ არა რომელიმე მოქმედი ნორმატიული აქტი თავდაცვის სამინისტროს ზედმეტი კონსპირაციის შესაძლებლობას? აღმოჩნდა, რომ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის გაცემის დროს თავდაცვის სამინისტრო აპელირებას ახდენს 1997 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაზე, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ნუსხას ამტკიცებს, მათ შორის - თავდაცვის სფეროში. **"ეს დოკუმენტი იმდენად ზოგადია, რომ თითქმის ყველანაირი ინფორმაციის გასაიდუმლოების საშუალებას იძლევა,"** - აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი მმართველობის საკითხებში გია კიკნაძე. მაგალითად, ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე თავდაცვის სამინისტრომ შეიძლება გითხრათ, რომ ცნობები ამა თუ იმ ნაწილში, სამხედრო მოსამსახურეთა ეკიპირების და მასზე დახარჯული თანხების შესახებ საიდუმლოებას მიეკუთვნება. გარდა ამისა, ბრძანებულების ერთ-ერთი პუნქტი ამბობს, რომ საიდუმლოა ცნობები შეიარაღებაში ახალი სამხედრო ტექნიკის ან ქონების გამოყენების და შეიარაღებიდან ძველი ნიმუშების მოხსნის თაობაზე. ასევე, ნუსხის 2.3.12 მუხლი ითვალისწინებს "სამხედრო ტექნიკისა და ტრანსპორტის ოდენობის" გასაიდუმლოების ვალდებულებას, მაშინ, როდესაც საქართველო მიერთებულია "ევროპაში ჩვეულებრივი სამხედრო ძალების რიცხოვნობის შესახებ" ვენის კონვენციას, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მონაცემები საჯარო და კონტროლირებადი უნდა იყოს. **"ეს არის ძველი, 1997 წლის ბრძანებულება, მაგრამ თევზაძის მინისტრობის დროს, თუ არ ვცდები, ორჯერ უკვე გამოვიდა "თეთრი წიგნი", სადაც ეს ყველაფერი ასახულია,"** - ამბობს ალექსი ბარბაქაძე.

ე.წ. "თეთრი წიგნი" ყოველ ორ წელიწადში გამოდის და ყველაფერს ასახავს: სტრუქტურას, შეიარაღებას, რიცხოვნობას. **"შენ ვალდებული ხარ, ეს ყველაფერი ყოველ წელიწადს აცნობო სავერიფიკაციო ცენტრს, რომელიც არის შეიარაღებაზე კონტროლის სამსახური და სადაც როგორც ჩვენი მეზობლები, ისე ევროპის ქვეყნებიც არიან ჩართულნი,"** - აცხადებს რეზერვის პოლკოვნიკი. ასე რომ, აღნიშნული ბრძანებულება ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებასაც ეწინააღმდეგება.

სამხედრო სფეროზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელება ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების მთავარი კრიტერიუმია. "IPAP"-ის დოკუმენტში ნატო პირდაპირ უთითებს, რომ უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც თავდაცვის სფეროში ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიას შეიმუშავებს. **"ასეთი ჯგუფი არ არსებობს,"** - აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

თავად "IPAP" საჯარო სულ ახლახან გახდა. ალბათ, ისიც ამ ბრძანებულების საფუძველზე იყო გასაიდუმლოებული, რადგან მასში ჩამოთვლილი ნუსხა ამის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. **"ნუსხის 2.1.7. მუხლი ითვალისწინებს რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების გასაიდუმლოების ვალდებულებას, მაშინ, როდესაც კანონი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საერთოდ არ ცნობს საერთაშორისო ხელშეკრულებების გასაიდუმლოების შესაძლებლობას,"** - აცხადებს გია კიკნაძე და ვრცელი გამოკვლევიდან ამონარიდზე მიგვითითებს. ეს გამოკვლევა 2002 წელს ჩატარდა, თუმცა, როგორც ექსპერტი ამბობს, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა.

რამდენად შეესაბამება "ძველი" პრეზიდენტის ეს ბრძანებულება დღევანდელ მოთხოვნებს, როდესაც ახალგაზრდა ხელისუფლება აცხადებს, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ოჯახში გაწევრიანების ამბიცია აქვს - ოჯახში, სადაც სამოქალაქო კონტროლის პრინციპი ძალზე მნიშვნელოვანია?!

**"სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა დღევანდელ კი არა, "გუშინდელ" მოთხოვნებსაც კი ვერ შეესაბამება. ამავე დროს, ის წინააღმდეგობაში მოდის როგორც თავის თავთან, ასევე საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსთან, სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და საღ აზრზე რომ აღარაფერი ვთქვათ,"** - აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი გია კიკნაძე. მიუხედავად ამისა, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხგაუცემლობა იმ ნორმატიული აქტის საფუძველზე დაასაბუთონ, რომელიც, კანონის თანახმად, ბათილად უნდა იქნას ცნობილი, მაგრამ დღემდე მაინც ძალაშია.

# "ის ვერ გახდა ხელისუფლების კაცი"

პირველი გვერდიდან

აცხადებს თინა ხიდაშელი. მისი თანაპარტიელი, დავით ბერძენიშვილი ამ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ამაგრებს: **"მიუხედავად ჭიაბერაშვილის მრავალი მცდელობისა, იგი მაინც უცხო სხეული იყო სააკაშვილის ხელისუფლებაში. შუალედური საპარლამენტო არჩევნებისა და თვითმმართველობის არჩევნების წინ ჭიაბერაშვილის მერად დარჩენა "ნაციონალურ მოძრაობას" კარგს არაფერს უქადდა. ამიტომაც, იგი "ნაციონალი მაღალჩინოსნით" ჩაანაცვლეს."**

"ახალი მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში განხორციელებული მორიგი საკადრო გადაადგილებების მიზანი მერის არჩევითობის საკითხის უკანა პლანზე გადაწევაა. **"ზურაბ ჭიაბერაშვილი, როგორც დანიშნული მერი, საზოგადოებაში უარყოფით მუხტს ატარებდა. უგულავას დანიშვნით კი, ხელისუფლებამ, უბრალოდ, ფასადი გამოცვალა, ახლა კი იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ საკრებულოდან არჩეულ მერში ცუდი არაფერია,"** - ამბობს ჩიხრაძე.

"კონსერვატორ" კახა კუკავას აზრით, **"პრეზიდენტის გადაწყვეტილება ცინიკურია. მაშინ, როცა ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მიდის საუბარი თბილისის მერის პირდაპირ არჩევნებზე, პრეზიდენტი მერად საკუთარი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიშნავს. ამის შესახებ მან არც საკრებულოს და არც მოქმედ მერს აცნობა. დასკვნა მარტივია - პრეზიდენტი თბილისს უყურებს, როგორც საკუთარი ადმინისტრაციის ერთ-ერთ სამსახურს."**

და ბოლოს: თბილისის მერის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსით ჩანაცვლებამ თითქოს გადაფარა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება - მართალია, დროებით, მაგრამ გიგი უგულავას ადგილს პარლამენტარი გიორგი არველაძე დაიკავებს. ამასთან დაკავშირებითაც ოპოზიციონერთა მოსაზრებები მკვეთრად ურყოფითია.

**"ნებისმიერ ქვეყანაში ამგვარი რამ წარმოუდგენელია. ეს არის საჯარო სამსახურის ეთიკის ძალიან უხეში დარღვევა,"** - ამბობს "კონსერვატორი" კახა კუკავა. "ახალი მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე კი აცხადებს, რომ ეს დანიშვნა უკვე "ანეკდოტია": **"საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც თავისი ფუნქციით აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა აკონტროლებდეს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის კოორდინატორი ხდება. ასეთი რამ უკვე თურქმენეთშიც კი აღარ ხდება."**

# ახალი მერის პირველი დღე

პირველი გვერდიდან

ჭიაბერაშვილის მიერ პოსტის დატოვების შემდეგ, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა თბილისის მერიის, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის უფროსმა გივი ორდენიძემ, თბილისის ვიცე-პრემიერმა უჩა გელაშვილმა, ქონების მართვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან ალაფიშვილმა, ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელმა არჩილ მესტვირიშვილმა, საფინანსო სამსახურის უფროსმა გიორგი ქადაგიძემ და კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსმა გიორგი ხაბაშვილმა.

რაც შეეხება თბილისის ახალ მერს გიგი უგულავას, მან 12 ივლისს, საღამოსვე, ქალაქის პრემიერთან თემურ ქურხულთან ერთად, ჭავჭავაძის გამზირზე მიმდინარე, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. გუშინ მერიაში ოფიაციალურად გამოცხადების შემდეგ, უგულავა თავის წინამორბედზე ასეთ განცხადებას აკეთებს: **"ზურა ძალიან რთულ პერიოდში მოვიდა ქალაქის მერიაში და საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებიც ჩაატარა. მისი მერობის დროს გაორმაგდა ქალაქის ბიუჯეტი და, რაც მთავარია, მერიის სტრუქტურები გაიწმინდა კორუფციისაგან. მის მიერ დაწყებული რეფორმები მომავალშიც გაგრძელდება. ვფიქრობ, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილი ძალიან მნიშვნელოვან სამსახურში წავიდა."**

მას შემდეგ, რაც გიგი უგულავამ ახალ კაბინეტში თავისი პირადი ნივთები გადაიტანა, ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების მოსანახულებლად გაემგზავრა. სავარაუდოდ, ეს ობიექტი გიგი უგულავამ ისნის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის ბიძინა ბრეგაძის მხარდასაჭერად აირჩია. მან ბრეგაძის მიმართ პირადი სიმპათიები ხმამაღლა გამოხატა: **"ბიძინა არის საკმაოდ მონდომებული და თავისი საქმის მცოდნე ადამიანი. ვფიქრობ, მისი კანდიდატურა მისაღები იქნება ისნის რაიონის ამომრჩევლებისთვის. მე არ ვმალავ, რომ ბიძინა ჩემი მეგობარია და მე მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას."**

ბიძინა ბრეგაძე ქალაქის პრემიერობიდან წასვლის შემდეგ, თბილისის მერიაში გუშინ პირველად გამოჩნდა. მან მერია გიგი უგულავასთან ერთად დატოვა და ასეთი კომენტარიც გააკეთა: **"რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, მე კენჭი ვიყარო ისნის რაიონში. რადგანაც პრეზიდენტმა განაცხადა, ალბათ, ეს ასეც იქნება. ამჟამად მე შვებულებაში ვიმყოფები და იმ რაიონის პრობლემებს ვეცნობი, სადაც დეპუტატობაზე ვიყრი კენჭს,"** - აღნიშნა ბრეგაძემ.

გუშინ, ქალაქის მერთან ერთად, თბილისის პრემიერი თემურ ქურხულიც იმყოფებოდა. მან ყოფილ მერზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, თუმცა საკმაოდ დადებითად დაახასიათა თბილისის ახალი მერი: **"გიგი გადასარევი ბიჭია. საქმე იცის და დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემები არ გვექნება."**

# ბობი კოლომბი: გამორთეთ MTV



**რაც უნდა დემოკრატიული ქვეყანა იყოს, მთავრობა საკუთარი თავის შემოკეტვას ცდილობს. ერის ხმის გაგონების ძლიერი და ეფექტური გზა ხელოვნებაა.**

**ქართული ფოლკლორული მუსიკა არის დახვეწილი, საინტერესო, მდიდარი და გაცილებით იმაზე მაგარი, ვიდრე რომელიმე იმ ქვეყნის ფოლკლორი, რომელიც მომისმენია.**

**ვინმემ რომ მკითხოს, რომელ ქვეყანაზე ჩამოხვალთ ფსონსო, საქართველოს ვიტყვი, იმდენად ნათელი პერსპექტივა გაქვთ.**

პირველი გვერდიდან

**- რა იცოდით ამ ქვეყნის შესახებ და დაემთხვა თუ არა თქვენი შთაბეჭდილება რეალობას?**

- ამერიკელებს აბსოლუტურად არა აქვთ წარმოდგენა, რა ხდება ამერიკის გარეთ, თუ ეს CNN-მა არ აჩვენა. საქართველოს შესახებ ჩემი ცოდნა აქ უკვე ნამყოფი ჩემი მეგობრების ნაამბობით შემოიფარგლებოდა. ამ მონათხრობით და სერგისთან *(სერგი ნაკაიძე, "ისტერნ პრომოუშენის" წარმომადგენელი აშშ-ში)* მეგობრობით დავიწყე საქართველოს შესწავლა. რაც აქ ვარ, რამდენიმე დღე და ღამე მქონდა არეული. ამიტომ, ამ ეტაპზე საქართველოს შესახებ წარმოდგენა უკანასკნელი დღეების განმავლობაში ნანახმა შემიქმნა და ყველაფრის შესახებ მასშტაბური წარმოდგენა არ გამაჩნია - არ მისაუბრია მუშებთან, ფერმერებთან, ხალხის ფართო მასებთან და მათი მოსაზრებები ჩემთვის უცნობია. მაგრამ, ერთადერთი სიტყვა, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებით გონებაში მომდის, ეს არის "შესაძლებლობა". ეს ახალი დემოკრატიული ქვეყანაა და ამიტომ პერსპექტივები დიდია. ეს არის ახალგაზრდა, კარგი გაგებით - აგრესიული და პატრიოტიზმის გრძნობით უაღრესად გაჟღენთილი ერი. ვიცი, რომ საქართველოში დღემდე ძალიან ბევრი ეკონომიკური პრობლემა არსებობს. თუ ამ მოკლე ხანში შეძენილ ჩემს ახალ ნაცნობებს ერთ ადამიანად წარმოვიდგენ, ხელს მოვხვევდი და ვეტყოდი - უნდა ამაყობდე იმით, ვინც ხარ, პატივს ვცემ იმას, რა გზაც გაიარე და გაქვს ნათელი მომავალი.

ვისაც შევხვდი, არავის პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამბობენ, რაც აკლიათ და როგორ შეიძლება იყოს უკეთესად, მაგრამ პრეტენზიები არავისგან მსმენია.

ახალგაზრდა მუსიკოსებთან მასტერკლასი ჩავატარე. მათ თქვეს, რომ არ არსებობს კლუბები, სადაც დავუკრავთ და დავიხვეწებითო. პირველი, რაც აზრად მომივიდა - ეს ხომ პერსპექტივაა, რომელიც საშუალებას გაძლევს - თუ არ არის, უნდა გააკეთო. ქართველები და საერთოდ, სხვა ერებიც შეცდომებზე სწავლობენ...

**- ჯერ ჭკუის სწავლაზე არ გადავსულვართ...**

- უბრალოდ, არ უნდა გაიმეორო, თორემ შეცდომებს ყველა უშვებს. ქვეყნის სათავეში ოპტიმისტები უნდა იყვნენ. ნახევრად ცარიელია ჭიქა თუ ნახევრად სავსე, დამოკიდებულია იმაზეა, საიდან შეხედავ.

**- რა შეკითხვები დაგისვეს ქართველ მუსიკოსებთან შეხვედრაზე, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- უმეტესად "დრამერებმა" დასვეს ტექნიკური შეკითხვები. დარბაზში რომ შევედი, დასარტყამი ინსტრუმენტი იდგა. 1975 წლიდან არ დამიკრავს და ეს რომ ახლა გამეკეთებინა, მასტერკლასი კი არა, მასტერინფარქტი გამოვიდოდა.

ყველა ასეთმა შეხვედრამ გულახდილად ჩაიარა, საკმაოდ საინტერესო შეკითხვები დასვეს. ის უფრო საინტერესო იქნება, თავად როგორი შთაბეჭდილება დარჩათ ამ შეხვედრებიდან. ბავშვობაში, განსაკუთრებით კი ხალხმრავალ ადგილებში, ენა მებმოდა და ძალიან მიჭირდა შეკითხვების დასმა. ყოველთვის ვიმედოვნებ, რომ ჩემს მსმენელთა შორის ვინმეს იგივე პრობლემა არ აქვს და შეკითხვის დასმა არ გაუჭირდება.

დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ადამიანს თავი მოვაბეზრე ჩემი საუბრით. დამსწრეთა უმეტესობა კი ამ დარბაზიდან იმაზე მეტი ინფორმაციით გავიდა, ვიდრე შემოსვლამდე ჰქონდა.

**- დასმული შეკითხვების მიხედვით შეგვიძლიათ დაასკვნათ, რომ საქმე პროფესიონალებთან გქონდათ?**

- ასეთი ფორმატის შეხვედრებზე ყოველთვის არის მომენტის - საკუთარი განცხადების გაჟღერების - გამოყენების საშიშროება. რამდენიმე ადამიანი შეხვედრაზე საკუთარი განცხადების გასაკეთებლად იყო მოსული და არა შეკითხვის დასასმელად. ეს შეიძლება შეხვედრის საერთო ჟღერადობას არღვევს, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ ერთ-ერთი დამსწრე მუსიკალური მაღაზიის მფლობელი იყო, იყვნენ "საქპატენტის" წარმომადგენლები, მომღერლები, მუსიკოსები და სხვა. მაგრამ, მინდა ვიკითხო - მილიონ 200 ათასიან თბილისში სად არიან ძველი თაობის მუსიკოსები? დარწმუნებული ვარ, ამ ქალაქში არსებობს გაცილებით მეტი და განსაკუთრებით, ძველი თაობის მუსიკოსი, რომლებიც არანაკლები პროფესიონალები იყვნენ.

**- ეს ის თაობაა, რომელთაც საბჭოთა რეჟიმის დროს უკრძალავდნენ ჯაზურ მუსიკას და მათაც ფარულად უწევდათ პროფესიონალიზმის დახვეწა...**

- სწორედ ამ თაობას მინდა მივმართო - გაერთიანდით ახალი თაობის მუსიკოსებთან, რადგან ეს ერთი ინდუსტრია, ერთი საქმეა და გაერთიანებული ძალებით მეტის გაკეთება შეიძლება.

**- ამ საუკუნეში, ნოვაციების ცვალებადობის ამ ტემპებში, რა როლს ანიჭებთ მუსიკის ტექნიკურ მხარეს?**

- რაიმე ახალი ტექნიკა გამოჩნდება თუ არა, პირველი მყიდველი ვარ. ამ ახალ აპარატურას ორ თვეში შეიძლება, არავითარი დანიშნულება არც ჰქონდეს, მაგრამ ეს ჩემი სენივით არის. ახალმა ტექნოლოგიამ ჩაწერის პროცესიც გააიოლა და შემოქმედებითი პროცესიც. შესაბამისად, ჩაწერის ფასებმა დაიწია და ტემპმა მოიმატა. მაგრამ, სისწრაფეში იკარგება ნიუანსები, რომელიც ამ პროცესს ახასიათებს. ინოვაცია და ტექნოლოგიები შემოქმედებით პროცესს არღვევს. მოცარტსა და ბეთჰოვენს ეს ყველაფერი არ ჰქონდათ, მაგრამ...

**- ჩვენს მუსიკოსებსაც აკლიათ ტექნოლოგიები და როცა მას ეხებიან, ჩნდება ამ ნოვაციების ბოროტად გამოყენების საფრთხე. როგორ უნდა აიცილონ თავიდან ეს საშიშროება?**

- ამერიკაშიც იგივე პრობლემაა. ეს რაღაც ახლი სათამაშოსავით არის, რომლით თამაშის წესებიც, შეიძლება, ჯერ არც კი იცი. "ბიტლზებმა" ანალოგიით ჩაწერეს დისკი. სტივი უანდერს ყველანაირი ახალი ჩამწერი ტექნოლოგია აქვს, მაგრამ მისი ნიჭი არ დაკარგულა. ნიჭი თუ გაქვს, ის არ დაიკარგება, მაგრამ თუ ახალ სათამაშოსთან თამაშით ბევრი დრო დაკარგე, ამას შეიძლება, ნიჭი შეეწიროს.

უმეტესი ალბომების ჩაწერა "ჰარდ დრაივზე" ხდება, ეს კომპიუტერული პროგრამაა, სადაც ზოგჯერ წინასწარ ჩაწერილიც გამოიყენება, რაც ტექნიკურ დანაკარგებს იწვევს. "ლაივ" ატმოსფეროში კი იბნევიან და ვერ წერენ. ხშირად ვმუშაობ ამერიკაში ლეგენდარულ ხმის ინჟინერ ალ შმიტთან. ის დაახლოებით 65 წლის არის და ფრენკ სინატრადან დაწყებული, თითქმის ყველა დიდ ჯაზმენთან უმუშავია. ამიტომაც მასთან მუშაობას ვამჯობინებ. ეს ადამიანი ჩაწერის დროს მუსიკაში იჭერს იმპულსს, ემოციას, ჟღერადობას, რომელიც ზოგჯერ ტექნოლოგიაში იკარგება. უახლეს ტექნოლოგიებს იყენებს, მაგრამ ჩაწერის პროცესი ტრადიციულია. ალ შმიტს ყველა საფეხური გავლილი აქვს, ის 17 "გრემის" მფლობელია.

**- ტრადიციის და ნოვაციის შერწყმაზე საუბრობთ. ქართველებს უდიდესი მუსიკალური ტრადიციები გვაქვს, მაგრამ დღეს ტენდენცია იმიტაციისკენ მიდის. ეს ეკონომიკურად ღარიბი ყველა ქვეყნის სენია თუ ამისგან თავის დაღწევა შეიძლება?**

- საინტერესო შეკითხვაა. მინდა გამოგიტყდეთ - ძალიან ბევრი ქვეყნის ფოლკლორული მუსიკა მაქვს მოსმენილი, რომელმაც ჩემზე, პრინციპში, დიდი შთაბეჭდილება არ დატოვა. ამ მხრივ, თქვენი ფოლკლორი მართლაც გამორჩეულია. ამერიკული გამოთქმაა - "შენი მეზობლის ბალახი უფრო მწვანეა, ვიდრე შენი". როდესაც რაიმე მაღალი დონის მუსიკის იმიტაციას აკეთებ, საუკეთესო შედეგი ისევ იმ დონემდე ასვლაა, ვის იმიტაციასაც აკეთებ, ამას ველარაფრით ვერ გაუსწრებ, ეს შენი ზღვარია. ჩემი რეკომენდაცია ეს იქნება - შენი ტრადიციის იგნორირებას, იმის იგნორირებას ნუ გააკეთებ, რაც უკვე არსებობს. ქართული ფოლკლორული მუსიკა დახვეწილი, საინტერესო, მდიდარი და გაცილებით იმაზე მაგარია, ვიდრე რომელიმე იმ ქვეყნის ფოლკლორი, რომელიც მომისმენია. ამიტომ, ადგილობრივი მუსიკოსებისთვის გამოწვევა ტრადიციული მუსიკის დახვეწა უნდა იყოს.

თუმცა, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში შეინიშნება გლობალური ტენდენცია - ყველა ამერიკული და ინგლისური მუსიკის მიბაძვას ცდილობს. სინამდვილეში ეს ყველაფერი მხოლოდ შთაბეჭდილებაა. ჩემი მუსიკალური კარიერის დროს ყველას ეგონა, რომ საუკეთესო "დრამერი" ვიყავი იმიტომ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბენდის დრამერი ვიყავი. მაგრამ, ჩემსავე ქუჩაზე ცხოვრობდა ორი "დრამერი", რომლებიც ჩემზე გაცილებით უკეთ უკრავდნენ. არა ჩემივე ქალაქში, არამედ ჩემსავე ქუჩაზე... ასე რომ, ეს ყველაფერი პრეზენტირება, პიარია. ვიცი, რომ დღეს მუსიკოსებთან მექნება შეხვედრა. თუ ჩავთვლი, რომ რომელიმე აკეთებს იმიტაციას, ძალიან გამიჭირდება ენაზე ვიკბინო და არ ვუთხრა "shut up" (მოკეტე). იმიტომ, რომ თქვენსავე ეზოში უმდიდრესი ტრადიცია და მუსიკაა. შეიძლება, გარშემო მოგწონდეს რაიმე მუსიკა და მათი ნაწილებისგან კორპორაცია გააკეთო, მაგრამ ძირითადი მასა ამ მდიდარი მუსიკიდან უნდა იყოს.

ხშირად მეუბნებიან, მოდი, ძალიან კარგ ბენდს მოგასმენინებთ, რომელიც Blood, Sweat & Tears-ივით უკრავსო... იმ წამსვე ვპასუხობ - Blood, Sweat & Tears უკვე არსებობს და რა აზრი აქვს მის მოსმენას?!

**- სწორედ ეს მიმბაძველობა ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ ჩვენში საავტორო უფლებების ინსტიტუტი არ არის განვითარებული?**

- ამ შეკითხვის პასუხად შემიძლია 4 საათი ვილაპარაკო. ჩემი მოწოდება იქნება - გამორთეთ MTV და თქვენს ტრადიციულ მუსიკას დაუბრუნდით. მეტი დრო დახარჯე ვარჯიშზე, ვიდრე სარკის წინ. საავტორო უფლებებს რაც შეეხება - მიმაჩნია, რომ საავტორო უფლებების ნაკლებობა მუსიკისთვის და შემოქმედებისთვის კიბოა.

დამპყრობლების შემოსევისას ნათელი იყო ის საფრთხე, რაც თქვენს ერს ელოდა. ეს კიბო კი უფრო სახიფათოა, რადგან დამალულია. ასე გვგონია: რა მაგარია, რომ ასეთ მუსიკას კაპიკებში წერ... ხელოვანისა და მუსიკოსის შრომა ყოველგვარი პატივისცემის გარეშეა იგნორირებული. წარმოიდგინეთ - ვან გოგი ასრულებს ნახატს. მოდის ვილაც, ამბობს, "ვა, რა მაგარი ნახატიაო", ხსნის კედლიდან და მიაქვს. ერთი თვის თავზე ვან გოგი მეორე ნახატს ასრულებს და ისევ ანალოგიური ხდება... როგორ გგონიათ, რამდენ სურათს დახატავდა ვან გოგი ასეთ პირობებში? ჩემი აზრით, ვერც ერთს... თუ ის ძალიან გიჟი არ იყო და ყურს არ მოიჭრიდა.

თუ საავტორო უფლებების მნიშვნელობას თქვენივე მუსიკოსებმა არ სცეს პატივი, დიდი რისკია, რომ თქვენი კულტურა დაიღუპება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ქართველებს მოვუწოდო, იყიდონ მეტი ამერიკული დისკი. თქვენსავე შემოქმედებას და ხელოვნებას უნდა სცეთ პატივი.

**- რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და მუსიკოსს? ბევრი ქართველი "პაპსავიკი" ჩივის, რომ სახელმწიფო მათზე არ ზრუნავს, ფულს არ აძლევს და კონცერტებზე არ ეძახიან...**

- ეს, უბრალოდ, მუსიკალური შურია, მაგრამ ის, რომ პრეტენზიას გამოხატავენ, დადებითი ნიშანია, რადგან ეს დემოკრატიას ნიშნავს. ყველა მთავრობას აქვს ტენდენცია, იყოს იზოლირებული. რაც უნდა დემოკრატიული ქვეყანა იყოს, მთავრობა საკუთარი თავის შემოკეტვას ცდილობს. ერის ხმის გაგონების ძლიერი და ეფექტური გზა ხელოვნებაა.

**- ვიცი, რომ პრემიერს შეხვდით. ადეკვატურად ესმის თუ არა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას საავტორო უფლებების მნიშვნელობა?**

- ძალიან რთულია, ვისაუბრო იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება ჩვენს შეხვედრას და რას გააკეთებს მთავრობა ამ საკითხის რეფორმირებისთვის. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, ვისაც შევხვდი, ყველას აბსოლუტურად კარგად ესმის ის, რაზეც ვისაუბრეთ. ისიც შევატყე, რომ ამ საკითხს ისინი აქტუალურად თვლიან. ძალიან გული მწყდება, რომ ვერ შევხვდი პრეზიდენტს. შეიძლება, არ ვარ სახელმწიფო მოხელე და ოფიციალური პირი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იდეა, რომლითაც აქ ჩამოვედი, მას ძალიან დააინტერესებდა და მიმაჩნია, რომ ის ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც ძალიან მოკლე ვადაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. მესმის, რომ ასეთ ახალგაზრდა და ახალ მთავრობას გაცილებით მეტი აქტუალური პრობლემა აწუხებს, ვიდრე საავტორო უფლებებია, მაგრამ ეს კიბოსავით არის - ვნებს ეკონომიკას, ქვეყანას, ხელოვნებას და მთლიანად შემოქმედებით გარემოს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა კარგი კანონმდებლობა, ამ საკითხში საზოგადოების გათვითცნობიერება და მთავარი - საავტორო უფლებების დამრღვევი ისეთივე წესით უნდა დაისაჯოს, როგორც ადამიანი, რომელიც სხვისი სახლიდან ნივთს იპარავს.

გული მწყდება, რომ, სამწუხაროდ და საპატიო მიზეზების გამო, ვერ შევხვდი პირველ ლედის, რომლის შესახებ კარგის მეტი არაფერი მსმენია. ისე, პრეზიდენტისთვის ძალიან მაგარი საჩუქარი მქონდა...

**- დღეს ჩვენთან, მუსიკალურ ცხოვრებაშიც გარდამავალი პერიოდია, რომელიც საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს. როგორ ხდება ეს ამერიკაში?**

- ძველი და ახალი თაობის დაპირისპირება ყველგან ხდება. მუსიკის, პიროვნების ან ხელოვანის ნეგატიური კრიტიციზმი საშიშია, რადგან შედეგი არ აქვს. უქმად იხარჯება ენერგია, წინსვლა კი არ არის.

გააჩნია, კრიტიკა საიდან და რა კუთხით მოდის. გულახდილი, მუსიკალური კრიტიკა კარგია, მაგრამ კრიტიკა, რომლის მიზანი მხოლოდ დამცირებაა, სრული აბსურდია.

**- საქართველოში საერთოდ არ არსებობს მუსიკალური კრიტიკა.**

- უნდა არსებობდეს რამდენიმე კრიტიკოსი, რომელსაც კარგი ყური და წერის უნარი აქვს. ჩემი ძალიან ახლო მეგობარი "ლოს ანჟელეს თაიმსის" კრიტიკოსია. თავად ფანტასტიური მუსიკოსია. როცა ის ვინმეზე უარყოფით აზრს გამოთქვამს, ამას ისე ამბობს, თითქოს ადრესატს აგრძნობინებს, რომ ეს მისი რჩევაა და არა საჯარო გასამართლება.

**- რას იტყვით, როცა აქედან სამშობლოში ჩახვალთ, როგორი ხალხია ქართველებიო?**

- ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია. იმის იმედი მაქვს, რომ ხალხმა თავად იცის საკუთარი განსაკუთრებულობის შესახებ და იმის შესახებაც, თუ რამდენი რამის გაკეთება შეუძლია თავისი ქვეყნისა და მსოფლიოსთვის. ეს ქვეყანა ახლიდან დაიბადა და ამიტომ უამრავი პერსპექტივაა. ვინმემ რომ მკითხოს, რომელ ქვეყანაზე ჩამოხვალთ ფსონსო, საქართველოს ვიტყვი, იმდენად ნათელი პერსპექტივა გაქვთ. დარწმუნებული ვარ, გაივლით ყველა ტკივილს და სირთულეს, რაც ახალმა ქვეყანამ უნდა გაიაროს. საბოლოოდ კი საქართველოში ნათელი მომავლის დიდი პერსპექტივაა. უბრალოდ, მინდა გირჩიოთ - გთხოვთ, მოუკელით მობილურ ტელეფონზე საუბარს, ისიამოვნეთ სადილით და ნუ შეაწყვეტინებთ მას მობილურის ზარს. ნუ მოსწევთ, რადგან ეს ის ქვეყანაა, სადაც ადამიანები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ.







# ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
www.drf.org.ge
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.
შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge**
**ირინა სულავა**
**სასწავლო პროგრამის კოორდინატორი**



# ადმინისტრატორი

კომპანია **BP Exploration Caspian Sea Ltd** კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას სუფსის ტერმინალზე ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრატორის ძირითადი მოვალეობებია:

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**
მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს საკითხებზე
- - STOP პროგრამაში აქტიური მონაწილეობა
- თარჯიმნის ფუნქციების შესრულება
- ყიდვა/მომსახურების განაცხადების წარმოება MAXIMO-ს საშუალებით
- - სუფსის ტრეინინგების კოორდინაცია, მათ შორის მგზავრობისა და საცხოვრებლის მოთხოვნილებების კოორდინაცია
- სუფსის თანამშრომლებთან დაკავშირებულ საკითხებზე BP-ის კადრებისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებებთან მოლაპარაკება
- ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაცია MAXIMO-ს საშუალებით
- სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის აღრიცხვის სისტემის კოორდინაცია
- სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის კონტროლის სისტემის კოორდინაცია
- საწყობის ინვენტარიზაციის სისტემის კოორდინაცია
- სატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური შემოწმებების შეგროვება და განხილვა, დანაკლისის შემოწმება. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მომსახურების მოთხოვნის შევსება და ჩაბარება. თუ რაიმე შემჩნეული დეფექტის გამო სახიფათოა სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, ამ სატრანსპორტო საშუალების ხმარებიდან დაუყოვნებლივ გამოყვანის უზრუნველყოფა.
- შავი ყუთიდან მონაცემების ჩამოტვირთვა, ანგარიშების დაბეჭდვა და სუფსის მენეჯერისათვისა და GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორისათვის გაგზავნა თბილისის ოფისში
- ყველა ტრანსპორტის საშუალების მიერ დაფარული დისტანციის ჩანაწერების წარმოება და ანგარიშვალდებულება GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორის წინაშე თბილისში
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, როგორიცაა ტექნიკური პასპორტი, გამოყენებამდე სატრანსპორტო საშუალების ყოველდღიური შემოწმების საკონტროლო სია, არის ყველა სატრანსპორტო საშუალებაში.
- სატრანსპორტო საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური მომსახურების აღრიცხვის წარმოება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ოფისში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება, საკუთარი სამუშაოს შესრულების მინიმალური ზედამხედველობით შესრულების უნარი, გუნდური მუშაობისას ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
- ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 19 ივლისი, სამშაბათი, 18:00.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# "თუ გარიგებაზე არ წახვალ, პროცესს მაინც წააგებ"

*ქუთაისელი ფოტოგრაფი თორნიკე ტურაბელიძე საკუთარი უფლებების დაცვას, უკვე რამდენიმე თვეა, სამართლებრივი გზით ცდილობს. ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერის და ამჟამად თბილისის "არქმშენინსპექციის" უფროსის გივი ჯიბლაძის მხრიდან ტურაბელიძის მიმართ განხორციელებული მუქარის თაობაზე ფოტოგრაფმა ჯერ კიდევ გასულ კვირას მიმართა იმერეთის შს მთავარ სამმართველოს. ტურაბელიძემ პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებას ჯიბლაძის სატელეფონო მუქარის აუდიოჩანაწერიც დაურთო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა იმერელი სამართალდამცავებისთვის.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

**"გამომძიებელმა მითხრა, რომ საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღძრავს, თუ მუქარასა და ზეწოლას ისევ ექნება ადგილი,"** - აცხადებს თორნიკე ტურაბელიძე "24 საათთან" საუბარში.

11 ივლისს ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლეთა კოლეგიამ, გურამ გოცირიძის თავმჯდომარეობით, მორიგი სხდომა გამართა ტურაბელიძის სარჩელის განსახილველად. ამჯერად ქუთაისელი ფოტოგრაფის ინტერესების დაცვა იურიდიული კომპანია GAP-ის ადვოკატმა ნიკა დანელიამ იკისრა.

სხდომის დაწყებისთანავე დანელია სასამათლოს წინაშე ორი შუამდგომლობით შევიდა, რომლებმაც მოსამართლე და მოპასუხეები, რატომღაც, ერთნაირად აღაშფოთა და გააღიზიანა.

პირველი შუამდგომლობით ტურაბელიძის ადვოკატმა სასამართლოს თავისი უფლემოსილების შესრულებისაკენ მიუთითა; კერძოდ, რადგან დავა საავტორო უფლების დაცვასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ეხება (ტურაბელიძე გაზეთებისაგან - "ჯორჯიან თაიმსი", "რეზიუმე" და "კომსომოლსკაია პრავდა", კომპენსაციის სახით, 80 000 ლარს და იმ ქონებრივი მოგების ანაზღაურებასაც ითხოვს, რაც ამ გაზეთებმა მისი ფოტოების გამოქვეყნებით მიიღეს), სასამართლო ვალდებული იყო, დაედგინა, რა ქონებრივი მოგება მიიღეს ამ გაზეთებმა ტურაბელიძის ფოტოების გამოქვეყნების შედეგად, რაც ქუთაისელ მოსამართლეებს ამ ხნის მანძილზე არ გაუკეთებიათ.

მეორე შუამდგომლობით, დანელიამ იმ სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გამოქვეყნება მოითხოვა, რომელზეც დაფიქსირებულია, რომ ჯიბლაძე ტურაბელიძეს "ჯორჯიან თაიმსთან" გარიგებაზე წასვლას სთავაზობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ ეს შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო მას შემდეგ, რაც ტურაბელიძემ ჯიბლაძისგან გაფრთხილება მიიღო - თუ გარიგებაზე არ წახვალ, ამ პროცესს სასამართლოში მაინც წააგებო.

ასეც მოხდა. ქუთაისის საოლქო სასასასამართლომ 11 ივლისს წერტილი დაუსვა ტურაბელიძის სარჩელის შედეგად ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის შექმნილ დისკომფორტს და მოსამართლეებმა სასწრაფო გადაწყვეტილების გამოტანას არასამუშაო საათებიც კი შესწირეს. დაახლოებით, 18 საათსა 20 წუთზე სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ გურამ გოცირიძემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ელვის სისწრაფით ჩაიკითხა, რომლითაც გაირკვა, რომ სასამართლომ ტურაბელიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

**"სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო, რადგან მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს მოწმეების ახსნა-განმარტებები, რომლებიც ცალსახად მიუთითებდნენ, რომ ამ ფოტოების ავტორია თორნიკე ტურაბელიძე. მაგრამ, თუ თორნიკე ტურაბელიძეზე ხორციელდება ზეწოლა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, მათ არც სასამართლოზე გაუჭირდებოდათ ზეწოლის მოხდენა. ამ მოსამართლეებს ძალიან გაუძნელდებათ სარეზოლუციო ნაწილის მოტივაციის დასაბუთება, რომელიც ორ კვირაში უნდა დადონ,"** - აცხადებს ადვოკატი ნიკა დანელია.

ტურაბელიძე და მისი ინტერესების დამცველი ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ და, ამას გარდა, სამართალდამცავი უწყებებისგან კატეგორიულად მოითხოვენ, ტურაბელიძეზე განხორციელბული მუქარის გამო, ყველა დასახელებული მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას 151-ე მუხლით.

# "ელიტარული ქალაქი" კრწანისის რეზიდენციის ნაცვლად

*კრწანისის რეზიდენციის ახალი მფლობელი ამ ტერიტორიაზე პატარა თანამედროვე ტიპის ქალაქის გაშენებას აპირებს. მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება, სავარაუდოდ, 2012-2013 წლებში დასრულდება. უფრო კონკრეტულად, თუ რა გაკეთდება იმ ადგილას, სადაც საქართველოს მეორე პრეზიდენტი, დაახლოებით, 9 წელი ცხოვრობდა, რეზიდენციის ახალი პატრონი გუშინ ჟურნალისტებს მოუთხრობდა.*

მარიამ ჭაჭვაძე

კომპანიის სამომავლო გეგმებზე გუშინ ჟურნალისტებს "ბაზელის" ქართველი მენეჯერი შალვა ქოჩლაძე ესაუბრებოდა. მისი თქმით, კრწანისის რეზიდენციის ბაზაზე პატარა "ფეშენ-ქალაქი" გაშენდება. **"აქ მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება, დასავლეთის სტანდარტის შესაბამისი ვილები, სკოლა, ბიზნეს-ცენტრი, კორტები, საცურაო აუზი... დღეისთვის მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სასტუმროების ოპერირების ორ ბრენდთან, ასე რომ, საცხოვრებელ სახლებთან ერთად კრწანისის რეზიდენციაში სასტუმროებიც აშენდება,"** - განაცხადა ქოჩლაძემ.

კომპანიის მთავარი მენეჯერის თქმით, ელიტარული ქალაქის გაშენება სერიოზულ ინვესტიციებს - რამდენიმე ათეულ მილიონ აშშ დოლარს საჭიროებს. იმ შემთხვევაში, თუკი მშენებლობა სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეფერხდება და დაგეგმილ ვადებში ჩაეტევა, თბილისს ე.წ. "ფეშენ ქალაქი" მომავალ 7-8 წელიწადში ექნება.

ქოჩლაძე კვლავ უარყოფს გავრცელებულ ხმებს კრწანისის რეზიდენციიდან ინვესტორის წასვლის შესახებ, თუმცა ჟურნალისტებთან საუბრისას არ დაუფარავს, რომ მათი ფირმის გეგმები ახალი ქალაქის გაშენების შესახებ მთლიანად სხვა კომპანიებისგან მოზიდულ თანხებს უკავშირდება.

"ბაზელის" მთავარმა მენეჯერმა განაცხადა, რომ "ელიტარული ქალაქის" გაშენებაში ფულის ჩადების სურვილი უკვე ბევრმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა, თუმცა კონკრეტული კომპანიების დასახელებისგან მან გუშინ თავი შეიკავა.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის შპს "ბაზელს" კრწანისის რეზიდენციის სრული ღირებულებიდან მხოლოდ 8 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი. დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით, კომპანიამ მთლიანი თანხა ოქტომბრის ბოლოსთვის უნდა შეიტანოს. თუმცა, 15 მილიონის ნაცვლად, რომელიც "ბაზელს" რეზიდენციაში უნდა გადაეხადა, მას დამატებით 250 ათასი აშშ დოლარის გადახდა მოუწევს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ უკვე გადახდილი 8 მილიონი დოლარიდან 5-მილიონიანი ტრანშის გადახდა რამდენიმე დღით დაგვიანდა.

კრწანისის ყოფილი რეზიდენციის გაყიდვის ფაქტს, თავის დროზე, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საქართველოს უძრავი ქონების ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება უწოდა. შარშან, სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი, რომელიც 44 ჰექტარ მიწის ფართობზე განლაგებულ 10 კოტეჯს მოიცავს, 15 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. მყიდველები - ბარი სეპტიმუსი (Creative Production Inc) და რონალდ ვალდმანი (Basel Group LLC) აშშ-ს უძრავი ქონების ოპერაციებით დაკავებული კომპანიების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კონსორციუმს წარმოადგენენ.

# "დიდი რემონტი" ენერგოსექტორში

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" სარემონტო სამუშაოები დაიწყო. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილის შოთა მაისურაძის განმარტებით, სარეაბილიტაციო ჯგუფმა უშუალოდ ანძის დაზიანების ადგილამდე მისვლა მოახერხა, თუმცა გზის პრობლემა ისევ არსებობს და დაზიანებული ხაზის დათვალიერება ვერტმფრენით მიმდინარეობს. ამიტომ, როდის დასრულდება აღდგენითი სამუშაოები, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, სარემონტო სამუშაოებზე დაახლოებით 2 მლნ დოლარი დაიხარჯოს.

დაზიანებული უბანი სვანეთში, მდინარე კლიჩის ხეობაში მდებარეობს და მის აღდგენას აქამდე უგზოობა აფერხებდა.

ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი", დიდთოვლობის გამო, მარტში დაზიანდა. მას შემდეგ საქართველოში ელექტროენერგია რუსეთიდან აღარ შემოდის.

მაისურაძის პროგნოზით, ელექტროენერგიის იმპორტი, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში აღდგება.

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონის" სიმძლავრე დღე-ღამეში 12 მლნ კილოვატსაათია.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანია "რაო ეესი" "ხრამი 2"-ზე მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს. სამუშაოები, რომელიც 6 თვის მანძილზე გასტანს, სადგურის ორივე 55-მეგავატიანი ჰიდროტურბინის, ელექტროგენერატორებისა და მაღალი ძაბვის გამანაწილებელი ქვესადგურის კაპიტალურ რემონტს მოიცავს. ამავე საპროექტო გეგმითაა გათვალისწინებული ძირითადი და ჩვეულებრივი ავტოტრანსფორმატორების, საშუალო და დაბალი ძაბვის დამხმარე დანადგარების, ტურბინის მილსადენის და სფერული საკეტის ტექნიკური რეაბილიტაცია. დაგეგმილია ჰიდროსადგურის სამანქანო დარბაზისა და გამანაწილებელი ქვესადგურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ჰესის მმართველი კომპანია 1,8 მილიონი დოლარის დახარჯვას გეგმავს. ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია 2006 წლის თებერვლისთვის დასრულდება, რის შემდეგაც 45 მგვტ-დან 55 მგვტ-მდე გაიზრდება ჰიდროსადგურის გამომუშავების საშუალო სიმძლავრე. საერთო ჯამში, გამომუშავებული ელექტროენერგია, რომელმაც 2004-2005 წლებში 97,5 მლნ კვტ\სთ შეადგინა, 2006 წელს 200 მლნ კვტ\სთ-ს მიაღწევს.

"ხრამი 2"-ს 25-წლიან მართვას კომპანია "რაო ეესი" ახორციელებს. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 350 ათასლარიანი სუბსიდიის დახმარებით "ხრამი 2", ორწლიანი პაუზის შემდეგ, ერთიან ენერგოსისტემას 2004 წლის 27 დეკემბრიდან მიუერთდა და ელექტროენერგიას დღემდე აწვდის. 6 თვის განმავლობაში ჰიდროსადგურმა 100 მლნ კვტ\სთ-ზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, რომელიც სს "თელასს" პირდაპირი კონტრაქტის საფუძველზე, სემეკ-ის მიერ დადგენილი ტარიფით მიაწოდა.

*24 საათი*

უცხოეთი

# ტრაგედია პაკისტანში

*პაკისტანში გუშინ გამთენიისას სამი მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა. წინასწარი მონაცემებით, ტრაგედიამ 300-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. დაშავებულთა რაოდენობამ კი ათასს მიაღწია. რეგიონის საავადმყოფოები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ, ხოლო მიმდინარე სამაშველო სამუშაოები სამხედრო დანაყოფთა და ვერტმფრენთა აქტიური მონაწილეობით ხორციელდება.*

ნანა ნასყიდაშვილი

13 ივლისს, ადგილობრივი დროით დილის 4 საათზე პაკისტანში ერთმანეთს სამი მატარებელი შეეჯახა. ტრაგედია პროვინციებს - სინდსა და პენჯაბს შორის მოხდა. დაშავებულია ათასამდე ადამიანი, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა, ოფიციალურ პირთა განცხადებით, 100-დან 300 კაცამდე მერყეობს. აღნიშნული რიცხვი სამაშველო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, სავარაუდოდ, გაიზრდება. ზოგიერთი წყარო ტრაგედიის მიზეზად ასახელებს მატარებლის ტექნიკურ გაუმართაობას, ზოგი კი - მემანქანის დაუდევრობას. ამ დროისთვის ჩატარებულმა გამოძიებამ ცხადყო, რომ "ყარაჩი ექსპრესს", რომელიც გარკვეული ტექნიკური პრობლემების გამო, სადგურ გოტკის სიახლოვეს გაჩერებული იდგა, ლაჰორიდან ყარაჩიში მაღალი სიჩქარით მიმავალი მეორე ჩქაროსნული მატარებელი "კვეტა ექსპრესი" შეეჯახა. ავარიის შედეგად ვაგონთა ნაწილი სხვა რელსებზე გადაცვივდა, რომლებზეც კიდევ ერთი მატარებელი მოძრაობდა. წინასწარი მონაცემებით, შუქნიშნის მწვანე ნიშანი, რომელიც "ყარაჩის ექსპრესისათვის" იყო განკუთვნილი, "კვეტა ექსპრეს"-ის მემანქანემ თავისი მატარებლის



*კატასტროფის ადგილი.*

სადგურზე გასვლის ნებართვად მიიჩნია. სამივე მატარებელი მგზავრებით იყო სავსე, რომელთა უმეტესობასაც ეძინა.

ქვეყნის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი ტრაგედიის გამოძიებას ყურადღებით ადევნებს თვალს. რეგიონის საავადმყოფოები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. პრეზიდენტის ბრძანებით, საჯარისო დანაყოფები აღნიშნულ ტერიტორიას აკონტროლებენ და მიმდინარე სამაშველო სამუშაოებში აქტიურად იღებენ მონაწილეობას, ხოლო ტრაგედიის ადგილიდან დაზარალებულთა ევაკუაციას სამხედრო ვერტმფრენები ახორციელებენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განკარგულებით, შემთხვევის ადგილზე დარჩენილ ხალხს სასმელი წყალი, საკვები და საბნები დაურიგდა.

იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყნის რკინიგზაზე მსგავსი შემთხვევები ხშირია, აღნიშნული ტრაგედია პაკისტანში ბოლო წლების განმავლობაში რკინიგზაზე მომხდარ ინციდენტთა შორის ყველაზე მასშტაბურია. 1991 წელს სამგზავრო მატარებელი "ყარაჩი-ლაჰორი" სატვირთო მატარებელს შეეჯახა. ინციდენტის შედეგად 100 ადამიანი დაიღუპა; 1989 წელს კი გოტკიდან 60 კილომეტრის დაშორებით დატრიალებული ანალოგიური შემთხვევის შედეგად 400 ადამიანი გარდაიცვალა.

# უზბეკეთზე დასავლეთიდან ზეწოლა ძლიერდება

*ანდიჟანის ტრაგიკული მოვლენებიდან ზუსტად ორი თვის გასვლის შემდეგ აშშ უზბეკეთის ხელისუფლების მისამართით საერთაშორისო გამოძიების ჩატარების შესახებ კატეგორიულ მოთხოვნას აყენებს. ერთ-ერთი სანქციის სახით, "ბენკ ოფ ნიუ იორკმა" უზბეკეთს საკრედიტო ხაზი გაუუქმა.*



*რევოლუციის დღეები.*

ანდიჟანში მომხდარი მოვლენებიდან ორი თვეა გასული, თუმცა რა მოხდა 13 მაისს უზბეკეთის სამხრეთში მდებარე ქალაქში, ჯერაც სადავოა. მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობამ უზბეკეთისგან მომხდარის შესახებ მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება თავადვე მოითხოვა, მაგრამ დღემდე მსგავსი არაფერი განხორციელებულა.

ოთხშაბათს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ტომ კეისიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აშშ "ამ მოვლენების საერთაშორისო გამოძიებას კატეგორიულად მოითხოვს".

ოფიციალურ ტაშკენტზე ამერიკელთა ზეწოლის გაძლიერების საბაბი გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის მოხსენება გახდა. **"გაერო-ს მოხსენება, რასაკვირველია, ავსებს ბევრი სანდო თვითმხილველის მონათხრობს უზბეკეთის ძალოვანი სამსახურების მიერ მაისში ანდიჟანში ასობით ადამინის დაცხრილვის შესახებ,** - ამბობს კეისი, - **ბუნებრივია, უზბეკეთის ხელისუფლება მოვალეა საკუთარი მოქალაქეებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რომ ამ მოვლენების სერიოზული, სანდო და დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატაროს".**

გაერო-ს კომისიის 24-გვერდიანი მოხსენება ეჭვქვეშ აყენებს ტაშკენტის ოფიციალურ ვერსიას მომხდართან დაკავშირებით. შეგახსენებთ, უზბეკეთის პროკურატურა ირწმუნებოდა, რომ ანდიჟანის სისხლისღვრა ისლამისტი რადიკალების მიერ იყო პროვოცირებული, რომლის შედეგადაც მხოლოდ 176 ადამიანი დაიღუპა. მოხსენების ავტორი ლუიზა არბური ფაქტების გამოკვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დაღუპულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურ ციფრებს - დაახლოებით, 200-დან 700-მდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ გაერო-ს მოხსენების გამოქვეყნებისთანავე ტაშკენტმა შეცვალა დაღუპულთა ციფრი. უზბეკეთის ხელისუფლების ახალი ცნობით, თურმე ანდიჟანში 187 ადამიანი დაღუპულა და არა - 176 (როგორც უფრო ადრე აცხადებდნენ). თუმცა, აშკარაა, ეს მეორე ციფრიც შორს დგას რეალობისგან.

ვაშინგტონმა გაერო-ს კომისიის მოხსენება უზბეკეთის ხელისუფლების მიერ ძალის გაუმართლებელი გამოყენების დამატებით მტკიცებულებად მიიჩნია და, განმეორებით, გამკაცრებული ტონით მოითხოვა კარიმოვისგან საერთაშორისო გამოძიების ჩატარება. სხვათა შორის, გუშინვე ერთ-ერთმა ამერიკულმა ბანკმა "ბენკ ოფ ნიუ იორკ"-მა უზბეკეთის ეროვნულ ბანკს 2002 წელს გახსნილი საკრედიტო ხაზი გაუუქმა. საბაბად საკრედიტო შეთანხმების ვადის გასვლა დასახელდა, მაგრამ აშკარაა, მიზეზი პოლიტიკური უფრო იყო.

შესაძლოა, ამერიკელებს თვალიც დაეხუჭათ ანდიჟანში ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მასობრივ ჟლეტაზე, რომ არა კარიმოვის რეჟიმის ბოლოდროინდელი, აშკარად ანტიამერიკული ნაბიჯები. შეგახსენებთ, გასულ თვეში უზბეკეთმა შეზღუდვები დაუწესა მის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ბაზას, რასაც პენტაგონის მხრიდან ბაზის ავღანეთის ტერიტორიაზე გადატანის გადაწყვეტილება მოჰყვა; უფრო მეტიც, ახლახან ჩატარებულ "შანხაის თანამშორმლობის ორგანიზაციის" (ამ ორგანიზაციაში რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი შედიან) სამიტზე აშშ-ს ოფიციალურად მოსთხოვეს ცენტრალური აზიიდან ჯარების გაყვანის ვადის დასახელება.

ასე რომ, ნელ-ნელა უზბეკეთი (უფრო სწორედ, კარიმოვის რეჟიმი) ოკეანისგაღმელი პარტნიორისთვის ისეთ პრობლემად გადაიქცა, რომელსაც შეიძლება დემოკრატიის დამცველის ბაირაღით ებრძოლო.

*24 საათი*

# აფეთქებას ისრაელის საპასუხო ზომები მოჰყვა

ისრაელის ქალაქ ნეთანიაში სავაჭრო ცენტრის მახლობლად მომხდარი აფეთქების შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გასცა განკარგულება, ისრაელის უსაფრთხოების ძალებს საპასუხო დარტყმა განეხორციელებინათ მოძრაობა "ისლამურ ჯიჰადზე".

**"მე გავეცი განკარგულება იმის შესახებ, რომ უსაფრთხოების ძალებმა გააფართოვონ მოქმედების არეალი და დაარტყან "ისლამურ ჯიჰადს". ჩვენ არ გავჩერდებით მანამდე, ვიდრე ისინი არ შეწყვეტენ ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და განხორციელებას",** - განაცხადა შარონმა ბენ-ჰურიონის აეროპორტში იმიგრანტთა ახალი ნაკადის დახვედრის მიზნით გამართულ ცერემონიალზე.

ტერორისტებზე საპასუხო დარტყმის განხორციელების შესახებ ბრძანების გაცემამდე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე ქალაქ თულქარმში აიყვანეს "ისლამური ჯიჰადის" 5 ბოევიკი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ დასტურდება დაკავებულთა ბრალეულობა ნეთანიის ტერაქტში, თულქარმში განხორციელებული რეიდი უკვე მოწმობს იმას, რომ ისრაელმა კვლავ კონტროლქვეშ აიყვანა ეს ქალაქი, რომელიც თებერვალში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ არაოფიციალური შეთანხმების ძალით პალესტინას გადასცა. გარდა ამისა, რეიდის მსვლელობისას ალყაშემორტყმული იყო ღაზას სექტორის ის ტერიტორიებიც, სადაც ებრაელი მენაშენეები სახლობენ. მასობრივი გამოსვლების თავიდან აცილების მიზნით, რაც კიდევ უფრო გაართულებდა შექმნილ ვითარებას, ხელისუფლებამ ღაზას სექტორში იმ ტერიტორიების ბლოკირებაც გადაწყვიტა, სადაც ებრაელი მენაშენეები სახლობენ.

ნეთანიის ტერაქტი თვითმკვლელი-ტერორისტის მიერ განხორციელდა. ექსპერტიზის შემდეგ დადგინდა კამიკაძის ასაკიც. იგი იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან ახლოს მდებარე ქალაქ თულქარმის მკვიდრი 18 წლის აჰმედ აბუ ჰალილი იყო. როგორც მოგვიანებით თვითმხილველები ჰყვებოდნენ, სავაჭრო ცენტრის შენობაში შეღწევის წარუმატებელი ცდის შემდეგ ტერორისტმა ასაფეთქებელი მოყწობილობა მყისვე მოიყვანა მოქმედებაში. აფეთქების შედეგად დაიღუპა 2 მშვიდობიანი მოქალაქე და დაიჭრა 50-ზე მეტი ადამიანი. დაჭრილთა უმრავლესობას, გავრცელებული ინფორმაციით, არასრულწლოვნები შეადგენენ.

ტერაქტი დაგმო პალესტინის მხარემ, რომლის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ეს ქმედება "პალესტინის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ" აქტად შეაფასა, თუმცა არაფერი უთქვამს "ისლამურ ჯიჰადზე".

**"არც ერთი რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი ასეთ რამეს არ ჩაიდენს მაშინ, როდესაც ისრაელს ღაზას სექტორიდან და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან თავისი მენაშენეები გაჰყავს",** - თქვა აბასმა და ისიც დაამატა, რომ აუცილებლად დაისჯებიან ამ აფეთქების ორგანიზატორები.

**"ყველა ჯგუფი ვალდებულია, დაიცვას შეთანხმება. ასეთი ქმედებები პალესტინის ერთიანობას მხოლოდ ზიანს აყენებს და ხელს აძლევს ისრაელის მემარჯვენე ფრთას",** - განაცხადა მაჰმუდ აბასის თანაშემწემ უსაფრთხოების საკითხებში ჯიბრილ რაჯუბამ. აქვე საყურადღებო დეტალიც - სამშვიდობო შეთანხმების დაცვისაკენ მოწოდების მიუხედავად, რაჯუბამ ისიც აღნიშნა, რომ აუცილებელია ისრაელის მხრიდან დარღვევებზე რეაგირებაც.

# ევროკავშირი კანონებს ამკაცრებს

*ევროკავშირის წევრი-ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრები გუშინ ბრიუსელში ესპანეთის ინიციატივით შეიკრიბნენ. შეხვედრაზე განხილვის მთავარ თემას ლონდონის ტერორისტული აქტების გამოძიება და ევროკავშირის მოქალაქეების ტერორისტული დაჯგუფებებისგან დაცვის ერთობლივი მექანიზმის შემუშავება წარმოადგენდა.*

თიკო მაჭარაშვილი

ბრიუსელში გუშინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. ორსაათიან შეხვედრაზე მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრა დიდ ბრიტანეთს არ მოუწვევია. ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრები ესპანეთის ინიციატივით შეიკრიბნენ.

ბრიტანეთმა არ დაუჭირა მხარი ახალი საკითხების განხილვას. "მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე უმთავრესი ლონდონის ტერორისტული აქტების გამოძიებაა", - განაცხადა ინგლისელმა დიპლომატმა. ევროკავშირის 25 წევრი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრები მიიჩნევენ, რომ ლონდონში განხორციელებული ტერორისტული აქტების გამოძიებაში ევროკავშირმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. ევროპული საბჭო გაააქტიურებს ევროკავშირში ტერორიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმას, რომელიც შარშან მადრიდში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ შეიმუშავეს. 2005 წლის ბოლომდე ევროკავშირის საბჭომ ამ თემაზე სამი დოკუმენტი უნდა მიიღოს.

პირველ რიგში, ევროპულმა საბჭომ ოქტომბრამდე უნდა მიიღოს შეთანხმება სატელეფონო და ელექტრონული კავშირების შესახებ. საფრანგეთის, შვედეთის, ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მიერ გასულ წელს წარმოდგენილი პროექტი კომუნიკაციის ყველანაირ საშუალებას მოიცავს: ტელეფონი, ფაქსი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მობილური ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი... აღნიშნული პროექტის თანახმად, ოპერატორმა უნდა დაიმახსოვროს და, მინიმუმ, ერთი წლის განმავლობაში შეინახოს შემდეგი მონაცემები: ინფორმაციის გამშვები, მიმღები, ინფორმაციის მიღების ზუსტი დრო, ადგილი და ხანგრძლივობა. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ინფორმაციას, ის გაუშიფრავი უნდა დარჩეს. მრავალი ქვეყანა, მათ შორის - გერმანია, ავსტრია და ფინეთი მიიჩნევდა, რომ ეს პროექტი "ძალიან ამბიციური და ძვირად ღირებულია".

2005 წლის დეკემბრამდე ევროპულმა საბჭომ უნდა მიიღოს დოკუმენტი ევროკავშირის ქვეყნებს შორის სამართლებრივი (კრიმინალური) ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაადვილების შესახებ, რასაც ევროკავშირის წევრქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობების არაერთგვაროვბა უშლის ხელს.

ევროკავშირის წევრი-ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრებს სურთ, რომ დეკემბრამდე "მტკიცებულებების მიღების ევროპული მანდატის" შესახებ შეთანხმებაც შეიმუშავონ. ეს კი გააუმჯობესებს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მტკიცებულებების მოპოვებას.

ბრიუსელის შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერორისტული დაჯგუფებებისგან "მოქალაქეებისა და ინფრასტრუქტურების" დაცვას მიანიჭეს. ამ მიზნით, შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ ვიზებში ბიომეტრული მონაცემების შეტანა 2006 წლიდან შევა ძალაში.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრებმა გუშინდელ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გააძლიერონ თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან და დეკემბერში მთავრობისა და სახელმწიფოების მეთაურებს წარუდგინონ სამოქმედო გეგმა.

*მოკლედ*

## ბაკურიანს სოჭი ეცილება

ცნობილია, რომ ბაკურიანს აქვს შანსი, 2014 წელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. იმაზეც ვწერდით, რომ, შესაძლოა, ბაკურიანის მოცილეთა შორის სოჭი აღმოჩნდეს. ვარაუდი გამართლდა: რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა გუშინ მხარი დაუჭირა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაში სოჭის კანდიდატურის წამოყენებას.

"რუსეთი, რომელიც ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერთაგანია, ყველა საფუძველი აქვს იმისთვის, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადოს პრეტენზია. გვაქვს იმის ყველანაირი შესაძლებლობა, რომ ამაში დავარწმუნოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, - რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ლეონიდ ტიაგაჩევთან შეხვედრისას აცხადებს გრიზლოვი, - რუსეთს მსოფლიო სპორტში მოწინავე პიზიციები უკავია. ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ არა მარტო სპორტულ არენებზე, არამედ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაშიც".

## ოსკარ დე ლა ჰოია რინგს უბრუნდება!

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში, "ოქროს ბიჭუნად" შერაცხული ოსკარ დე ლა ჰოია ცოლს გაესაუბრა, დაასკვნა, რომ ათი თვის წინ საშუალო წონის მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთან ბერნარდ ჰოპკინსთან მარცხისა და, იმავდროულად, კარიერის დასრულების შემდეგ კვლავაც რინგზე დაბრუნება სურს. ოსკარ დე ლა ჰოიას პენსიაზე საბოლოოდ გასვლამდე, სულ ცოტა, ორი ორთაბრძოლის ჩატარება განუზრახავს. დიდმა მოკრივემ შესაძლო მეტოქეებიც დაასახელა - რონალდ რაიტი, ფელიქს ტრინიდადი, ზაბ ჯუდა და ფერნანდო ვარგასი.

"კრივიდან ასე წასვლა არ შემიძლია, - აცხადებს დე ლა ჰოია. - ბოლო ორი ორთაბრძოლა აუცილებლად უნდა მოვიგო. საშუალო წონაში გადასვლის შემდეგ ამაზრზენად გამოვიყურებოდი. საკუთარ თავს არ ვგავდი".

მოკრივემ დასძინა: მიუხედავად იმისა, რომ პრომოუტერული საქმიანობით, კერძოდ, ბერნარდ ჰოპკინსსა და ჯერმენ ტეილორს შორის დაპირისპირების ორგანიზაციული საკითხებით ვარ დაკავებული, რინგზე დაბრუნების სურვილი მაინც არ გამნელებიაო. აქვე გეტყვით, რომ "ოქროს ბიჭუნა" თავადაა ბერნარდ ჰოპკინსის პრომოუტერი.

*ფეხბურთი*

# ჯერარდს მეტი უნდა


სტივენ ჯერარდი: "მამა უმნიშვნელოვანესი ადამიანია ჩემს საფეხბურთო კარიერაში."

"ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი მეტოქეებს აფრთხილებს, რომ ყოველ წელს სულ უფრო პროგრესს განიცდის და ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ ჩემპიონთა თასი "ენფილდზე" დარჩეს. საუკეთესო თამაშისთვის ჯილდოდ 25 წლის ფეხბურთელს კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტი ერგო, რომელმაც ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს ფინანსური კეთილდღეობა კიდევ უფრო გაუმყარა.

"მე ვცდილობ, ფეხბურთს მთელი ჩემი არსება მივუძღვნა და შევისწავლო ყველაფერი, რისი სწავლაც შესაძლებელია, - განაცხადა სტივენ ჯერარდმა, - ვმუშაობ იმაზე, რომ ჩემი თამაშის ყველა ასპექტი გავაუმჯობესო. ფეხბურთს, უბრალოდ, ვეთაყვანები და ამიტომ ვცდილობ, შევიგრძნო რაღაც ახალი, რასაც შევწვდები".

გასულ კვირაში ჯერარდს საშუალება ჰქონდა საფეხბურთო კარიერა "ჩელსის" ან "რეალის" შემადგენლობაში გაეგრძელებინა, სადაც პროგრესს მიაღწევდა სრულყოფისკენ მიმავალ გზაზე. თუმცა, ბოლო მომენტში ფეხბურთელმა გადაწყვიტა, დარჩენილიყო გუნდში, რომელშიც რვა წლის ასაკიდან თამაშობს.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება მხოლოდ პირველი წარმატება იყო და სულ მალე მერსისაიდელები ჯილდოს ჯილდოზე მოიპოვებენ. "მე მომწონს მეტოქის კარის დალაშქვრა. ლიგის ფინალში გატანილი გოლი კი საერთოდ ფანტასტიკა იყო, - განმარტა ჯერარდმა, - თუმცა, მთავარი ის არის, რომ ჩვენ მოგება შევძელით".

"არ შემიძლია მოდუნება. ჩემთვის ეს უაღრესად რთული საქმეა, - განაგრძობს ფეხბურთელი, - მას შემდეგ, რაც სტადიონს ვტოვებ, ვცდილობ, დავივიწყო ის, რაც მინდორზე მოხდა და დრო ოჯახთან ერთად გავატარო, მაგრამ ეს დასვენება ისეთი რთულია ჩემთვის... დღედაღამ, 24 საათის განმავლობაში, ფეხბურთზე ვფიქრობ და სულ მოგებაზე ვოცნებობ".

"როცა საფეხბურთო კარიერას ვიწყებდი, წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის რანგში მივცემდი ინტერვიუს, - ამბობს "ლივერპულის" ნახევარმცველი, - თუმცა, მწვრთნელები, რომლებთანაც მუშაობა მიწევდა, რწმენას მიღვივებდნენ. ისინი თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ ჩემგან შეიძლებოდა კარგი ფეხბურთელი დამდგარიყო. ვცდილობ, რაც შეიძლება, მეტი ვისწავლო იმ ფეხბურთელებისგან, ვისთანაც თამაში მიწევდა და იმ მწვრთნელებისგან, რომელთა ხელმძღვანელობითაც ვმუშაობდი".

"ლივერპულის" ესპანელი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი უკანასკნელი სპეციალისტია მათ შორის, ვინც გამოცდილება გაუზიარა ინგლისის ნაკრების წამყვან ფეხბურთელს, რომელიც შეიძლება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის ლიდერი გახდეს.

"ბენიტესს სურს, რომ მე უფრო ჭკვიანურად ვიმოძრაო, - განმარტავს სტივენ ჯერარდი, - ჩვენ ერთად ვუყურებდით თამაშების ვიდეოჩანაწერებს ჩემი მონაწილეობით. ყოველდღე ვსაუბრობ მწვრთნელთან იმის თაობაზე, თუ რას მოითხოვს ჩემგან და რომელი კუთხით უნდა ვიმუშაო".

თუმცა, ვერც ბენიტესი და ვერც რომელიმე სხვა მწვრთნელი ვერ შეედრება ჯერარდის მამას, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მისი ვაჟი მსოფლიო კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბებულიყო. "ბევრი კარგი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მითამაშია და ბევრი კარგი ფეხბურთელის გვერდით მომისინჯავს ძალები, - ამბობს ჯერარდი, - თუმცა, სწორედ მამამ შემიძინა პირველი სათამაშო ბუცები. მისი დამსახურებაა, რომ გოლების გატანა დავიწყე. ის აფინანსებდა ჩემს მგზავრობას. მის გარეშე ნამდვილად ვერ გავხდებოდი ის, რაც გავხდი".

"მამა თვალს ადევნებდა ჩემს ყველა მატჩს - სამოყვარულოსაც და პროფესიულსაც. მუდამ ჩემს გვერდით იყო. ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც დაესწრო. ის უმნიშვნელოვანესი ადამიანია ჩემს საფეხბურთო კარიერაში. ერთხელ მითხრა, რომ ჩემზე უკეთ თამაშობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ შემორჩა", - განაცხადა ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა.

*ინფოთეკა*

## ტაისონს გააკულაკებენ

ოდესღაც მაიკ ტაისონის საკუთრებაში მყოფი სახლი eBay-ს ონლაინ აუქციონზე 3,5 მილიონ დოლარად გაიტანეს. ბინის საერთო ფართობი 2300 კვადრატულ მეტრზე მეტია. სახლს აქვს 0,65 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ ეს ტაისონის რიგით მესამე სახლია, რომელიც ბოლო წელს გაიტანეს გასაყიდად. შარშან ნოემბერში ბრიტანელმა მილიონერმა დომინიკ მაროკომ 4 მილიონ დოლარად ლას ვეგასში ტაისონისეული სახლ-კარი შეიძინა, ხოლო რამდენიმე თვით ადრე მაიკის სახლი 4,5 მილიონად რეპის ვარსკვლავმა კერტის ჯეკსონმა (ცნობილია 50 Cent-ის ფსევდონიმით) იყიდა.

## "გალათასარაი" არსენალელ პირესს თავისკენ ექაჩება

"გალათასარაის" ხელმძღვანელობის განცხადებით, "არსენალიდან" თურქულ კლუბში ფრანგი ნახევარმცველის რობერ პირესის გადაყვანა დასკვნით ფაზაშია.

"შეთანხმებაზე ხელი ჯერ არ არის მოწერილი, მაგრამ ველით, რომ მოლაპარაკება მალე დამთავრდება", - აცხადებს თურქული კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ხაშური-ვალე-თურქეთის საზღვრის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.15-კმ.76 მონაკვეთის ცალკეული უბნების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა: - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 29 ივლისის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 1 აგვისტოს $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა.შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 1 |
| 2 | ბულდოზერი სიმძლავრით 79 კვტ. | 1 |
| 3 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 4 | ასფალტდამგები | 1 |
| 5 | ვიბრაციული სატკეპნი 6 ტ | 1 |
| 6 | სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ | 1 |
| 7 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 8 | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.65 მ³ | 1 |
| 9 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 10 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 5 |
| 11 | ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 5 აგვისტოს $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 5 აგვისტოს $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, აცხადებს ღია ტენდერს თბილისის მუნიციპალური საკონცერტო ორკესტრისათვის მაღალპროფესინალური მუსიკალური ინსტრუმენტების მოწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდია შემდეგი სახის ინსტრუმენტები:

საყვირი - 4 ცალი; ფლუგელჰორნი - 4 ცალი; ტრომბონი - 2 ცალი; ბასტრომბონი - 1 ცალი; ვალეტორნა - 1 ცალი; მელოფონი - 2 ცალი; ალტ საქსოფონი - 2 ცალი; ტენორი საქსოფონი - 2 ცალი; ბარიტონი საქსოფონი - 1 ცალი; ფლეიტა - 1 ცალი; კლარნეტი - 2 ცალი; სოპრანო საქსოფონი - 2 ცალი; ელექტრო დასარტყამი ინსტრუმენტი (დამაკომპლექტებელი ნაწილებით) - 1 კომპლექტი; მონიტორი - 2 კომპლექტი; ელექტრო პერკაშენი - 1 კომპლექტი; ჩუმი ელექტრო ბასი - 1 კომპლექტი; ნახევრად აკუსტიკურიპ გიტარა - 1 კომპლექტი; გიტარის სიმები - 5 კომპლექტი (5 სიმით); ეკვალაიზერი - 2 ცალი; რემიქშერი - 1 ცალი; გამაძლიერებელი - 5 ცალი; მონიტორი - 10 ცალი; დასარტყამი ინსტრუმენტის აპარატურა - 1 კომპლექტი; სინთეზატორი - 1 კომპლექტი; ელექტრო პიანინო - 2 კომპლექტი; მიქშერი - 2 კომპლექტი; სტუდიის დინამიკები - 3 წყვილი; ინსტრუმენტული მუშტუკები - 9 ცალი; მუშტუკები - 12 ცალი, რომელთა მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით ტექნიკური დავალებების საფუძველზე.

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოს 10 საათიდან 3 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ხეთაგუროვის ქ. №2, ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

5.1. იურიდიულ პირთათვის:

- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2. ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა ქმედუნარიანობის შესახებ;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს 5.1, 5.2 და 5.3 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 10 აგვისტოს 12 საათიდან 12 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. №2, ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ფატი გვიმრაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, საკონტაქტო ტელეფონი 95 98 80, ან სოფიო წერეთელი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95 91 59 შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. №2, ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# ოპერისა და ბალეტის თეატრი რვა თვის ნამუშევარს აჯამებს

ვერა ნეფარიძე

*15 ივლისს სეზონის ბოლო სპექტაკლზე ("დაისი") თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს განსაკუთრებით ელოდება. ამ დღეს თეატრის ხელმძღვანელობა საუკეთესო სოლისტებს სიმბოლური პრიზებითაც დააჯილდოებს. უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში თეატრში შესრულებული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ გუშინ თეატრის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.*

ჩვენი ერთადერთი კონკურენტი რესტორნებია, - დათო საყვარელიძის ხუმრობით ნათქვამი არც ისე შორს არის სიმართლისგან. ყოველ შემთხვევაში, რვა თვის განმავლობაში რომ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა იმდენი პრემიერა მოამზადა, რამდენიც ბოლო წლებში ერთად აღებული არ დადგმულა ამავე სცენაზე, ამას მტკიცება არ სჭირდება; ფაქტია ისიც, რომ თეატრს ამ ხნის განმავლობაში მაყურებელი არ მოჰკლებია; ყველაზე საამაყო ახალი ხელმძღვანელობისთვის ის არის, რომ როდესაც მსოფლიოს ოპერის აუდიტორიის გაახალგაზრდავების პრობლემა აწუხებს, ჩვენთან ამ მხრივ საპირისპირო სურათია. ის, რომ "ძალიან ახალგაზრდა თაობა შემოვიდა თეატრში, ეს ჩვენი თეატრის დიდი მიღწევაა", - აღნიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე თეატრის გენერალურმა დირექტორმა დათო საყვარელიძემ. მანვე ისაუბრა თეატრში მოსული ახალგაზრდა სოლისტების შესახებ, რომელთა გაცნობა იტალიის ხუთი წამყვანი თეატრის (რომის, ნეაპოლის, პალერმოს, ფლორენციისა და ლა სკალას) ხელმძღვანელებს სურთ. თეატრების მმართველებს დათო საყვარელიძე იტალიაში ყოფნისას შეხვდა. სწორედ იქ გადაწყდა, რომ ხუთივე მათგანი (ფრანჩესკო ერნანი, ლანსა ტომასი, კონიატა, ჩეზარე მატსონი და ლუკა ტარჯეტი - ეს უკანასკნელი ლა სკალასთვის სოლისტებს არჩევს) სექტემბერში ეწვევა თბილისს; მათი ვიზიტის მიზანია, გაეცნონ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის როგორც ტექნიკურ, ისე შემოქმედებით შესაძლებლობებს. იტალიაში ყოფნისას დათო საყვარელიძე ლა სკალას აკადემიაში მისაღებ კონკურსსაც დაესწრო. "მონაწილე ცხრიდან ფინალში ოთხი ქართველი გავიდა; ორი მათგანი - ნინო მაჩაიძე (თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი) და ირინა კაპანაძე (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული) ჩაირიცხა ლა სკალას აკადემიაში. მოკლედ, საქართველო იტალიურ ოპერას ამარაგებს", - ამაყად განაცხადა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელმა.

სიამაყის მიზეზს დავით საყვარელიძეს განვლილი, საკმაოდ წარმატებული სეზონიც აძლევს. სეზონზე გაწეული საქმიანობის შესახებ მასთან ერთად გუშინ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, ბალეტის მენეჯერი კახა საკანდელიძე, სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე გოგი ჭიჭინაძე და თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ზურა ოიკაშვილი საუბრობდნენ. ეს იყო გარკვეულწილად საანგარიშო შეხვედრა, რომელიც თეატრში სეზონის ოფიციალურ დახურვამდე (რომელიც 15 ივლისსაა დაგეგმილი) გაიმართა.

"ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ თეატრის მშენებლობა; მძიმე იყო ეს პერიოდი, რადგან უამრავ პრობლემას წავაწყდით. მგონია, რომ გამოგვივიდა. თავიდან კონკურსი მოვაწყვეთ ორკესტრის გასაახლებლად; გუნდშიც ბევრი ახალი მომღერალია; ახალ დასს სჭირდებოდა შეკვრა, ერთიან კოლექტივად ჩამოყალიბება და ერთი მიზნისკენ სიარული", - აღნიშნა გაწეული მუშაობის შეჯამებისას ზაზა აზმაიფარაშვილმა. მანვე მომავალ სეზონზე რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგმის შესახებ გვაცნობა. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლების დიდი ნაწილი პაატა ბურჭულაძის სახელს უკავშირდება. სექტემბერში დაიდგმება "დონ კარლოსი", რომელშიც ქართველ ბანთან ერთად მოწვეული მომღერალიც მიიღებს მონაწილეობას; ასევე ბურჭულაძის პროექტია "ფაუსტი", რისთვისაც თეატრში დეკორაციებს ელოდებიან. საზაფხულოდ გათვალისწინებულია "ტრუბადურის" დადგმა; ეს იქნება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საგასტროლო სპექტაკლი, რომელზეც მოწვეული რეჟისორი და მხატვარი იმუშავებენ. სავარაუდოდ, ზამთარში ოთარ თაქთაქიშვილის "მინდია" განხორციელდება თეატრის სცენაზე; გუშინდელ შეხვედრაზე საიდუმლოდ დატოვეს პაატა ბურჭულაძის კიდევ ერთი პროექტი...

მომავალი სეზონისთვის საბალეტო დასი 15 აგვისტოდან შეუდგება მუშაობას. კახა საკანდელიძის თქმით, მომზადდება ბალანჩინის სამი ერთაქტიანი ბალეტი, "ზაფხულის ღამის სიზმარი" და სხვა დადგმები. ასე რომ, მომავალი სეზონი საბალეტო დასისთვისაც კიდევ უფრო საინტერესო იქნება, მით უმეტეს, რომ დასის მიწვევას შეერთებული შტატების თეატრები აპირებენ.

თეატრის ხელმძღვანელობის კიდევ ერთი ინოვაციის საჯაროდ ხილვა ჩვენს საზოგადოებას წინ აქვს. 15 ივლისს ის სეზონის საუკეთესო სოლისტებს გამოავლენს და სიმბოლური პრიზებით დააჯილდოებს. როგორც დათო საყვარელიძემ გვითხრა, ბოლო დღეებში მათი ჯგუფი აქტიურად ფიქრობს კანდიდატებზე. დანარჩენს კი 15 ივლისს ვნახავთ.

წარმატებული მუშაობის გარდა, თეატრს პრობლემებიც აქვს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების სიძველეა. თუმცა, როგორც ამბობენ, არის იმედი, რომ ინსტრუმენტები თეატრში გამოიცვლება. ვინ აპირებს მათ განახლებას, არ დაკონკრეტებულა, თეატრის დირექტორმა კი განაცხადა: "სახელმწიფომ არა მხოლოდ იარაღი უნდა იყიდოს, არამედ ინსტრუმენტებიც". პრესკონფერენციაზე რეგიონში არსებული ოპერის თეატრების ბედზეც ისაუბრეს. დათო საყვარელიძის თქმით, ყველაზე მეტად დახმარება სჭირდება ქუთაისის ოპერას. იმედია, ამ ქალაქის მიმართ პარლამენტის თავმჯდომარის განსაკუთრებული ინტერესი პრობლემის გადაჭრას დიდად შეუწყობს ხელს. რაც შეეხება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, სარემონტო პრობლემების მოგვარებას ხელმძღვანელობა თეატრში მუშაობის გაჩერების გარეშე აპირებს: "ჩვენ არ ვართ ის თეატრი, რომელიც რემონტის გამო დაიხურება; ეს მანქანა ისე დაიქოქა, რომ რემონტი ვერ შეაჩერებს. ღია ცის ქვეშ ვიმღერებთ და ვიცეკვებთ", - კატეგორიული იყო თეატრის დირექტორი, რომელმაც ისიც გაგვიმხილა, რომ რემონტს თეატრში "ქართუ-ჯგუფი" დააფინანსებს.

დაბოლოს: პრესკონფერენციაზე განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიეს თეატრის სპონსორები: ბანკი "რესპუბლიკა", "არტ ლაინი", იტალიის საელჩო - მათ გარეშე მოკლე დროში თეატრში დაწყებული რეფორმები წარმატებული ვერ იქნებოდა.



პრესკონფერენცია თეატრში სეზონის დახურვას მიეძღვნა.


GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სამტრედიის N5 (ილორის) სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სათემო კავშირთან "ილორი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ილორი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სამტრედიის N5 (ილორის) სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ივანე ნიკოლეიშვილი, სათემო კავშირი "ილორის"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 14 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სამტრედიის N5 (ილორის) სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ივანე ნიკოლეიშვილი, სათემო კავშირი "ილორის"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 11 აგვისტოს 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ქედქედის სკოლის რეკონსტრუქციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ქედქედის სათემო კავშირთან "წყარო"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"წყარო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი,**
**სოფელ ქედქედის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი რევაზ შაშიკაძე, სათემო კავშირი "წყარო"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 15 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი,**
**სოფელ ქედქედის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი რევაზ შაშიკაძე, სათემო კავშირი "წყარო"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 12 აგვისტოს 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ქარელის რაიონის დაბა ქარელის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ქარელის", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ქარელი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი,
დაბა ქარელის, ქარელის გამგეობის შენობა.
საკონტაქტო პირი ნუგზარ დაბრუნდაშვილი სათემო კავშირი "ქარელის" თავჯდომარე.

2005 წლის 18 ივლისიდან 18 აგვისტომდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი
დაბა ქარელი, ქარელის გამგეობის შენობა.
საკონტაქტო პირი ნუგზარ დაბრუნდაშვილი. სათემო კავშირი "ქარელის" თავჯდომარე

2005 წლის 18 აგვისტოს 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით პატარა ლიახვის ხეობის, სოფელ ერედვის და ბერულას წყალმომარაგების სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ბერულას თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე ბერულას თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, პატარა ლიახვის ხეობა,
ერედვის თემის' საკრებულოს შენობა.
საკონტაქტო პირი მურმან ქრისტესიაშვილი თემის განვითარების კომიტეტის თავჯდომარე.

2005 წლის 18 ივლისიდან 19 აგვისტოს 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 3700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, პატარა ლიახვის ხეობა
ერედვის თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურმან ქრისტესიაშვილი თემის განვითარების კომიტეტის
თავჯდომარე

2005 წლის 19 აგვისტოს 11 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **11:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ხვედურეთთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ხვედურეთი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი,
სოფელი ხვედურეთი, ხვედურეთის გამგეობის შენობა.
საკონტაქტო პირი გივი ხეთაგური სათემო კავშირი "ხვედურეთის" თავჯდომარე.

2005 წლის 18 ივლისიდან 18 აგვისტომდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2400 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქარელის რაიონი
სოფელი ხვედურეთი, ხვედურეთის გამგეობის შენობა.
საკონტაქტო პირი გივი ხეთაგური. სათემო კავშირი "ხვედურეთის" თავჯდომარე

2005 წლის 18 აგვისტომდე 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


ფოსტა

## "სკანდალი" სკანდალის ასაგორებლად

*გაზეთ "24 საათის" რედაქციას დავით ტატიშვილის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ცენტრის "ნაუტილუსი"-ს თანამშრომელთა კოლექტიური წერილი*

ა/წ 11.07.05-ს მივმართეთ გაზეთ "ალიას" რედაქციას, კოლექტივის თხოვნით გამოექვეყნებინა პასუხი ქალბატონ თ. როსტიაშვილის წერილზე, რომელიც დაიბეჭდა 2005 წლის 9-11 ივლისს სათაურით "სკანდალი დავით ტატიშვილის ფიტნეს-კლუბში "ნაუტილუსი". ჩვენს თხოვნას უარით უპასუხეს, იმ მიზეზით, რომ "ეს თემა ამოწურულია და მის გაგრძელებას არ ვაპირებთ"-ო.

შეურაცხყოფილი კოლექტივი თხოვნით მოგმართავთ "24 საათის" რედაქციას, გაითავისოთ ჩვენი გულისტკივილი და გამოაქვეყნოთ ჩვენი კოლექტივის წერილი.

ჩვენ არ შევუდგებით გაზეთ "ალია"-ში გამოქვეყნებული წერილის შინაარსის დაწვრილებით განხილვას და არც იმ სიცრუის გაბათილებას, რომელიც დიდი რაოდენობით აფრქვია რესპონდენტმა ირმა ყიფშიძემ.

ირმა ყიფშიძე თავდაპირველად არ ტოვებდა არაკეთილსინდისიერი მუშაკის შთაბეჭდილებას. როგორც კი მოიკიდა ფეხი დაწესებულებაში, მაშინვე შეეცვალა ზნე და უარყოფითი თვისებებიც გამოავლინა. კერძოდ, არც თუ ისე მისაბაძი საქციელით, კოლეგების ლანძღვით, მათი არაპროფესიონალებად მოხსენიებით ცდილობდა ფიტნეს-კლუბის წევრების გადაბირებას ინდივიდუალურ მუშაობაზე. გაურკვეველია, რატომ გვიწოდებს ყიფშიძე კოლეგებს არაპროფესიონალებს, განა ერთად არ გავიარეთ გერმანიიდან მოწვეულ ნაუტილუსის აკადემიის მასტერ-ინსტრუქტორთან თრეინინგი, ჩავაბარეთ გამოცდა და მივიღეთ სერთიფიკატი.

ჩვენ ვეცდებით, არ ვუღალატოთ პროფესიულ ეთიკას და მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ: თითოეული ჩვენთაგანი, ისევე როგორც ყიფშიძე, ინდივიდუალურად ვმუშაობდით და ვმუშაობთ პროგრამებზე, მასთან ერთად "ვხეხეთ" საკუთარი ხელებით დარბაზები და კაბინეტები, სადაც შემდეგ ჩვენვე განვლაგდით და ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ თავს მსოფლიო სტანდარტებით აგებულ, უახლესი აპარატურით აღჭურვილ შენობაში, სადაც ნებისმიერ მომსვლელს მყუდრო გარემო, სასიამოვნო ატმოსფერო და მაღალი კლასის მომსახურება ელის. არც ფასია, სხვათა შორის, განსხვავებული სხვა მსგავს დაწესებულებებში არსებული ფასებისაგან. რატომ ფიქრობს ყიფშიძე, რომ ფიტნეს-კლუბი "ნაუტილუსი" მხოლოდ მისი მატერიალური მოთხოვნების და ამბიციების დასაკმაყოფილებლად არსებობს? თუმცა, ასეთი ინტელექტის მქონე პირს ალბათ მეტი არც მოეთხოვება. ამის ნათელი დასტურია მისი ინტერვიუ და საკმაოდ უცენზურო გამონათქვამები, რომელთაც ჩვენ ვერ გავიმეორებთ.

სამწუხაროდ, ყიფშიძეს ფიტნეს-კლუბის წევრები მხოლოდ "კლიენტები" ჰგონია (ასე უწოდებს ის ინტერვიუში კლუბის წევრებს) და "ნაუტილუსი" სავაჭრო ცენტრი, სადაც კლიენტებს შენი საქონელი უნდა უქო და სხვისი კი უძაგო. დაფიქრდეს ყიფშიძე და ჰკითხოს საკუთარ თავს, როდის და როგორ ატერორებდა მას აკადემიკოსი დავით ტატიშვილი, ან ჩვენ თუ დაგვიჩივლია თუნდაც საიდუმლოდ მასთან საუბარში, რომ დატერორებულნი და შეურაცხყოფილნი ვართ დაწესებულების ხელმძღვანელის უცენზურო მომართვებით. ფაქტია, რომ ყიფშიძე განაწყენებულია, უკადრისს კადრულობს და საზოგადოება შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში, როდესაც წერს, რომ ყველას ერთნაირ პროგრამას უწერენ: ქალსაც და კაცსაც, ჯანმრთელსაც და ავადმყოფსაც. ჩვენთან ვინც ყოფილა, ყველა დაგვერწმუნება, რომ აქ მოსული ადამიანი პროფესიონალ ექიმ-რეაბილიტოლოგებთან გადიან კომპლექსურ სამედიცინო შემოწმებას, ივსება ანკეტა, ენიშნება ინდივიდუალური ვარჯიშები ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. ჯანმრთელი ადამიანი ფიტნეს-ინსტრუქტორის მიერ შედგენილი პროგრამით ვარჯიშობს, ხოლო ავადმყოფი რეაბილიტაციას გადის ექიმ-რეაბილიტოლოგის და მეთოდისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

მიუხედავად ყიფშიძის არაკორექტული საქციელისა, ჩვენ პატივს ვცემთ იმ რამოდენიმე თვის განმავლობაში ერთად მუშაობის პერიოდს. სხვათა შორის, ყიფშიძე ძალიან ამაყობდა იმით, რომ ნამდვილი პროფესიონალების გუნდის წევრი იყო და ასეთი დონის დაწესებულებაში მუშაობდა. ახლა რა მოხდა? იქნებ დაფიქრდეს და საკუთარ თავში მოიძიოს ნამდვილი მიზეზი "ნაუტილუსი"-დან მისი წასვლისა? იქნებ მას სხვები იყენებენ და მის უკან დგანან, თუნდაც არაჯანსაღი კონკურენტები, რომელთაც ხელს უშლის საკუთარი ბიზნესის განვითარებაში სამედიცინო ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წარმატებული წარმომადგენელი. ეჭვი გვიჩნდება, რომ ყველაფერი ეს პროვოცირებულია ბატონი დავითის ყურადღების გადასატანად იმ უსიამოვნებებიდან, რაც თავზე დაატყდა ამ ბოლო 2-3 კვირის წინ და თუ ეს ასეა, ვშიშობთ, მსგავსი პროვოკაციები ალბათ მომავალშიც გაგრძელდება.

გვინდა თხოვნით მოგმართოთ გაზეთ "24 საათის"-ს რედაქციას, მობრძანდით და ადგილზე გაეცანით მდგომარეობას, ხოლო ჩვენგან დამოუკიდებლად შეგიძლიათ გაიგოთ ჩვენს მიერ "ჯანმრთელობა შელახული" კლუბის წევრების აზრი. იმედია, ირმა მორიგ ტყუილს აღარ იტყვის - კლუბის წევრებსაც ატერორებს დავით ტატიშვილიო.

ეჭვი გვეპარება, ყოველივე ზემოთ თქმულს "სკანდალი" ეწოდოს, რადგან სამედიცინო გამაჯანსაღებელ ცენტრში "ნაუტილუსი" სუფევს სიმშვიდე, ერთსულოვნება, ურთიერთპატივისცემა და ოჯახური ატმოსფერო, რაშიც თვითონ დარწმუნდებით, თუ გვეწვევით.

*დავით ტატიშვილის სამედიცინო გამაჯანსაღებელი ცენტრი "ნაუტილუსი"-ს კოლექტივი:*
**ნინა მატაშენკო, დიანა მეშჩეროვა, ნანა კალაძე, თამუნა მოსულიშვილი, სვეტა ზუევა, ნინო ბუთბაია, მარინა ყურაშვილი, ნატა ცინცაძე, ნინო გოგიტიძე, დარეჯან გეგუჩაძე, გიორგი სიხარულიშვილი, ასმათ კევლიშვილი, ქეთი ტატიშვილი, თეა სულაშვილი, ხათუნა ჩახვაშვილი, ნათია კაპანაძე, ნინო მახარაძე, ნანა ორჯონიკიძე, ხათუნა მუჯირიშვილი, ლეილა შალამბერიძე, თამუნა გვენცაძე, ვიკა ქავთარაძე, ნინო ლამბაშიძე, ევგენი საყვარელიძე, იური დიაჩკოვი, თამუნა ჩიგოგიძე, მაია ჩილინდრიშვილი, ნინო მაისურაძე, იგორ ერისთავი, ელენე ლობჟანიძე, ინგა კვარჩია, გეგა მეთეფშიშვილი, ლაშა ფირცხალავა, მიშა სტურუა, სერგო საყვარელიძე, ეკა ცერცვაძე, ავთო მიქაბერიძე, სამველ მკრტიჩიანი, მაია თიგიშვილი, ლევან ანდღულაძე, ნარგიზი ქავთარია, გია ჩანგაშვილი, ციცინო ნაპირელი, ნატა გრიშინა**

# თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში

## უტილიტარული ხელოვნების ზენიტი







*სად გადის ზღვარი ხელოვნებას და საყოფაცხოვრებო რეალობას შორის? რირკრიტ ტირავანიჯას გამოფენიდან.*

რირკრიტ ტირავანიჯა - ეს სახელი და გვარი თუ არ გეცნობათ, ეგ არაფერი, ამ ტაილანდელ მხატვარს ახლა გაგაცნობთ. თუმცა, როცა ამბობენ მხატვარს, ხელოვნებათმცოდნეები მაშინვე ენაზე იკბენენ ხოლმე. ტირავანიჯა ხომ სიტყვის პირდაპირი და ტრადიციული გაგებით მხატვარი ნამდვილად არ არის. ის უფრო ახალი დროების ხელოვანია, რომელსაც საყოფაცხოვრებო გარემო ხელოვნების რანგში აჰყავს.

ზუსტად ასეა. და ამ განაცხადის უტყუარობაში მაშინვე რწმუნდებიან სერპანტინის გალერეასთან მოხვედრილი ლონდონელები. გალერეაში შესვლა საჭირო არ არის. გრანდიოზული ფანჯრებიდან ისედაც კარგად ჩანს მთელი ექსპოზიცია, რომლის მიზანიც ტირავანიჯას ნიუიორკული ბინის ინტერიერის ლონდონურ საგამოფენო დარბაზში გადმოტანა იყო.

ოთახები ხელოვანმა სერპანტინში, ცხადია, იუმორის თანხლებით წარმოადგინა და ყველა სტუმარს მოუწოდა, თავი ისე ეგრძნოთ, როგორც საკუთარ სახლში. რაც შეიძლება მეტ ადამიანს რომ ეგრძნო თავი საკუთარ სახლში, მასპინძელმა ორჯერ მოახდინა ბინის კოპირება და ორივე პავილიონი ზუსტად ისე მოაწყო, როგორც სინამდვილეშია, თავისი სამზარეულოთი, საძინებელი ოთახებით და აბაზანით.

სანახაობა სახალისო გამოდგა. განსაკუთრებით ჟურნალისტებმა მოილხინეს. ტირავანიჯას შოუ ხომ ლონდონში პირველად მოეწყო. შესაბამისად, მათ პირველად მიეცათ შანსი, სინამდვილეში ენახათ ტაილანდელის გახმაურებული ექსპოზიციები. ისინიც იდგნენ და ნახევრად ირონიით უყურებდნენ, თუ როგორ წამოგორდნენ საწოლებზე ერთი ოჯახის წარმომადგენლები, როგორ გაეხვივნენ ბუმბულის საბნებში და როგორ ისიამოვნეს ყოველდღიურობასთან საზღვრებმოშლილი ხელოვნებით. ამასობაში რამდენიმე კაცი დივანზე იყო მიწოლილი და მასპინძლის გამომეტყველებით გაჰყურებდა გამვლელებს, რომლებიც, თავის მხრივ, ვიტრინაზე ცხვირმიდებულები გაოცებული სახეებით უყურებდნენ უცნაურზე უცნაურ გამოფენას. ამ დროს დანარჩენები სამზარეულოში იყვნენ გაკრეფილები, დიასახლისისთვის დამახასიათებელი მონდომებით ამზადებდნენ სადილს და თან ჭორაობდნენ. მოკლედ, იყო სრულიად შინაურული გარემო - საბნები შრიალებდა, ისმოდა უნიტაზების ჩარეცხვის ხმა, გაზქურაზე სადილი მზადდებოდა, კონცეპტუალობამდე მაქსიმალურად დაწურული ხელოვნება კი თანდათან ითქვიფებოდა ყოფით რეალობაში.

ახლა ხომ ხვდებით, რატომ მოვიტეხეთ ენა ამ უცნაური ტაილანდური სახელის მრავალჯერ გამეორებით. რირკრიტ ტირავანიჯა ამ ახალი ტენდენციის არა მხოლოდ მიმდევარი, არამედ ერთ-ერთი აქტიური გამტარებელია. თუმცა, ასეთები სხვებიც არიან. მით უფრო, რომ სახლობის იდეის ხელოვნების ნიმუშად გარდაქმნა სულაც არ გახლავთ ახალი ჟანრი. რეიჩელ უაითრედიც ასეთ სახლებს აკეთებს, მარიო მერცი შუშის იგლუებს, ტირავანიჯა - საკუთარი სახლების რეპლიკებს. მოკლედ, ეს ხელოვანები საგამოფენო დარბაზებს ყოველდღიური ცხოვრებით ავსებენ და შანსს გვაძლევენ რეალობას გარეშე თვალით შევხედოთ. ანუ, ეს ხელოვნება გარკვეულწილად რეალური ტელევიზიის გაგრძელებაა და კაცობრიობის ერთ უცნაურ ჰობიზე - საკუთარი რეალურობის ხელოვნების რანგში აყვანის ჰობიზე მიუთითებს.

თუმცა, არის ერთი გერმანელი მოქანდაკე ულრიხ რიუკრიემი, რომელიც ამ ტენდენციას სასტიკად უპირისპირდება. ხელოვნების მოყვარულებს კარგად ახსოვთ, როგორ შეიჭრა შეზარხოშებული რიუკრიემი საკუთარ გამოფენაზე და როგორი მრისხანებით შესძახა: "გაეთრიეთ აქედან, ეს ხელოვნებაა და არა ღრეობა!"

ტირავანიჯა კი ხელოვნებას სწორედ ამ "ღრეობებს" უწოდებს. სანამ ლონდონში ჩაიტანდა თავის ნიუიორკულ ბინას, მსგავსი გამოფენა მან იქვე, ნიუ იორკში და მერე კი გერმანიაშიც გამართა. მასვე მიაწერენ კიდევ ერთ უცნაურ აქციას, რომელიც მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში გამართულ გამოფენაზე მოაწყო - შეკრიბა დამთვალიერებლები და თავისი ხელით მოუმზადა მათ კარით შეზავებული ბრინჯისა და ხორცის ტაილანდური კერძები (კარი ცხარე სანელებელია, რომელსაც ინდოელებიც ხშირად იყენებენ).

ტირავანიჯა თავისი ბედით და საქმიანობით კმაყოფილი ჩანს. თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ხელოვნებას ემსახურება და თან მოგზაურობს (ასეა ბავშვობიდან. მშობლები დიპლომატები იყვნენ), ხან ნიუ იორკში ცხოვრობს, ხან ბერლინში, ხანაც ჩიან მაიში, ჩრდილოეთ ტაილანდში. სწორედ ჩიან მაიში ტირავანიჯამ დააფუძნა ე.წ. "მიწა", იგივე ხელოვანების სათვისტომო, სადაც მათ საშუალება აქვთ ბრინჯის მდელოებზე, ბოსტნებსა და მდინარის ნაპირას შექმნან ის, რასაც ხელოვნებას ეძახიან - ვარიაციები საკუთარ პასპორტზე, ვიზებზე, ქვეყანაში შესვლის დამადასტურებელ შტამპებზე, სლოგანები პოლიტიკურად აქტუალური ტექსტებით - "ნაკლები ნავთობი, მეტი გაბედულება" (ეს ყველაფერი, ჩარჩოებში ჩასმული და შემინული, ამჯერად ტირავანიჯას ლონდონურ გამოფენაზეა წარმოდგენილი).

ერთი სიტყვით, ხელოვნების დემოკრატიზაცია - ჩვენ ყველანი ხელოვანები ვართ - სწორედ ასეთ უცნაურ იდეებს ბადებს.

წლევანდელ ვენეციურ ბიენალეზე ტირავანიჯა ერთი გრანდიოზული ზომის სლოგანით ირწმუნებოდა: "შეუძლებელი აღქმა მონაწილეობის გარეშე". ვისაც სჯერა, მის შოუებზე ერთობა კიდეც. ვისაც - არა, წუწუნებს, რომ ხელოვნების სახელით უგემოვნობას ავრცელებენ. თქვენ რას იტყვით?





შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა






